

წინო შარაშენიძე
მაგული ღამბაშიძე
მანია ადვანძე
თამარ მახარობლიძე

მოდალთბის
კატეგორიის
საკითხები
ქართულში

**ნიწო ზარაზენიქა
მაგული ღამგაშიქა
მანია ადვანქა
თამარ მახაროზლიქა**

**მოდლოზის კატეგორიის
საკითხეზი ქართულში**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2020**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

მონოგრაფიაში განხილულია ქართული ენის მოდალობის კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები, მოდალური სემანტიკის გამოხატვა ძველ ქართულში, ქართული ენის დიალექტებში, ასევე უესტურ ენაში. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია მოდალობასთან დაკავშირებული საკითხების მიწოდება ქართულის როგორც მეორე ენისა და უცხო ენის სწავლების პროცესში.

მონოგრაფია განკუთვნილია ქართველოლოგიის დარგში მომუშავე ენათმეცნიერთათვის, სემანტიკის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთათვის, ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. წიგნი აგრეთვე გამოადგებათ ზოგადი ენათმეცნიერებისა და ტიპოლოგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № 218 000). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (grant N 218 000). All the ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი: **მაგული ლამბაშიძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-788-8

წინასიტყვაობა

თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სემანტიკა და სემანტიკურ ანალიზზე დამყარებული კვლევები. კვლევის ამ მიმართულებამ ენის სხვადასხვა დონის საკითხები მოიცვა და ენის ფუნქციონირების და შესწავლის სრულიად ახალი ასპექტები გამოავლინა.

ქართული ენა აგლუტინაციურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ამ ტიპის ენებში ყოველ გრამატიკულ კატეგორიას თავისი გამომხატველი ნიშანი აქვს, ფორმის შინაარსი სწორედ ძირისა და ამგვარ ელემენტთა ერთობლიობით გამოიხატება. გარდა ფორმანტა გრამატიკული ფუნქციისა, ფორმის სემანტიკაში აისახება ამ ელემენტთა კომბინაციით შექმნილი სემანტიკაც. ამდენად, ამ ტიპის ენებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებაა სემანტიკის კვლევა, რაც არა მხოლოდ ამ დარგისათვის საინტერესო სფეროებს წამოსწევს წინ, არამედ სტრუქტურალისტური მიდგომით დამუშავებულ ბევრ საკითხს სრულიად ახალ განვითარებას მისცემს. მორფოლოგიურ ანალიზთან ერთად მორფო-სემანტიკური და სემანტიკური ანალიზი არის სწორედ ის მიმართულება, რომელსაც ქართული ენის ახალი კვლევები უნდა დაეფუძნოს.

მოდალობის კატეგორიის კვლევა სემანტიკური ანალიზის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. მოდალობა მოიცავს მოლაპარაკისა და გამონათქვამის მიმართების სახეებს. ქართულ ენაში მოდალობის კატეგორიის კვლევა, მისი გამომხატვის საშუალებების აღწერა და კატეგორიის გამომხატველი ენობრივი მონაცემების სისტემური შესწავლა მნიშვნელოვანი ამოცანაა. ის აგრეთვე საფუძველი გახდება ქართულ ენაში და სხვა ქართველურ ენებში ახალი სემანტიკური მიმართულებების კვლევებისათვის. მოდალობის სემანტიკის კვლევა, თავის მხრივ, უკავშირდება გრამატიკალიზაციის პროცესს. ამდენად, მოდალობის გამომხატველი საშუალებების ანალიზისას მნიშვნელოვანია გრამატიკალიზაციის პროცესის მთელი სისრულით აღწერა და ენაში მიმდინარე ცვლილებების პროცესე-

ბის საფუძვლიანი ანალიზი. ამგვარი კვლევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სემანტიკური კვლევების არეალის გაფართოებას ქართული ენისათვის, რაც ენის კვლევის ახალ ეტაპზე გადასვლის ნიშანია.

მოდალობის კატეგორია აღინერება სისტემით, რომლის საფუძველს წარმოადგენს ეპისტემური, დეონტური და დინამიკური მოდალობის სახეების გამოყოფა და მათი გამომხატველი ენობრივი საშუალებების კვლევა. ქართულ ენაში გამონათქვამის სემანტიკას ასევე ქმნის მოდალური ელემენტისა და ზმნის მწკრივის ფორმის კომბინაცია, რაც სპეციალური შესწავლის საგანია. გარდა მოდალობის ამ სამი ტიპისა, ქართულ ენაში გამოიყოფა მოდალობის სხვა ტიპებიც. კვლევა ასევე წარმოაჩენს ქართულში ერთი მოდალური ფორმით სხვადასხვა სემანტიკის გამომხატვის შესაძლებლობას. მონოგრაფია ასევე მოიცავს კავშირებითი კილოს ანალიზს ქართულში, რამდენადაც ის მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მოდალობის კატეგორიის გამომხატვასთან.

მონოგრაფია წარმოადგენს მოდალობის კატეგორიის სისტემის აღწერას, იკვლევს ქართული ენის სისტემაში მომხდარ გრამატიკალიზაციის პროცესს და წარმოაჩენს ამ მოვლენის შედეგებსა და ტენდენციებს ენაში. კვლევები ჩატარებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და „ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი შედეგები სიახლეა ქართული საენათმეცნიერო აზრისათვის.

თავი 1.

1.1. მოდალური სემანტიკის გამოხატვა ქველ ქართულში

მოდლობა, როგორც მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი, ენობრივი სისტემის ყველა დონეზე ვლინდება. ის შეიძლება გამოიხატოს გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური საშუალებებით.

გამოყოფენ მოდლობის ოთხ სახეს: 1. **ობიექტური მოდლობა**, რომელიც გამოხატავს შეტყობინების დამოკიდებულებას სინამდვილისადმი რეალურობის თვალსაზრისით. გამოხატვის მთავარ საშუალებად მიიჩნევენ ზმნის კილოს; 2. **სუბიექტური მოდლობა**, რომელიც გულისხმობს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამთან. გადმოიცემა ინტონაციის, სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციების, სიტყვათა წყობის, განმეორების, შორისდებულებისა და მოდალური ნაწილაკების საშუალებით; 3. **ლექსიკური მოდლობა**, გადმოიცემა ლექსიკური საშუალებით ანუ მოდალური ზმნების მეშვეობით; იგი სიახლოვეს ამჟღავნებს, ერთი მხრივ, ობიექტურ მოდლობასთან – კერძოდ, ფორმალურ-სემანტიკური მახასიათებლებით – და, მეორე მხრივ, სუბიექტურ მოდლობასთან იმ თვალსაზრისით, რომ იგი მთქმელის სუბიექტურ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს; 4. **დადასტურების და უარყოფის**, აგრეთვე **კითხვის** შემცველი ფრაზები (შარაშენიძე 2010, 156).

ქართულ ენაში მოდლობის გამოხატვის სხვადასხვაგვარი სისტემა ვლინდება ძველსა და ახალ ქართულში. შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში მოდალური სემანტიკა ძირითადად ლექსიკურად გამოიხატებოდა, კერძოდ, სპეციალური ანალიზური წარმოების ზმნებით: **ძალ-უძს>ძალ-უც, შესაძლო არს, შემძლებელ არს, შეძლება აქუს, ძალი აქუს, ძალი შესწევს, ძალი მოეცა, ჯელ-ენიფების, ჯელმნიფება აქუს, ჯელმნიფე არს, ჯერ-არს**, რომელთაც ძველ ქართულშივე უჩნდებათ

შესატყვისი სინთეზური ფორმები *უძლავს>შეუძლიან>შეუძლია, ღირს, შეუნის, ეგების* (ღამბაშიძე 2019).¹

ძველ ქართულშივე ვადასტურებთ მოდალური სემანტიკის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებასაც ე.წ. **კატეგორიული მყოფადის** სახით (*ყოფად არს, გამოსლვად ხარ ...*). აუცილებლად შესასრულებელი თუ სავალდებულო ქმედების გამოსახატავად აღნიშნული საშუალება სპეციფიკურია ძველი ქართულისთვის, თუმცა გარკვეული ცვლილებებით მოდალური სემანტიკის გამოხატველი მყოფადის ანალიზური წარმოება საშუალ ქართულშიც გვხვდება, მეტიც, იგი დღემდე შემორჩა ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებს (აგრეთვე მეგრულს, სვანურს) გარკვეული სტილისტიკური ფუნქციით (*მისაცემი მაქვს, წამსვლელი არა ვარ...*), თუმცა, საზოგადოდ, მოხდა მისი ჩანაცვლება მყოფადის გამოხატვის ორგანული ფორმებით (ქავთარაძე 1960, 201).

შესაძლებლობა-დაეჭვების, ვარაუდის მოდალური სემანტიკის გადმოსაცემად ძველი ქართული ენა იყენებდა ნაწილაკთა სისტემასაც (*ხოლო, ხოლოთუ, თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამეთუ, ჰელათუ, ჰეთუმცა, -ძი, -ვე, სამე ...*), რომელთა ნაწილიც ენის განვითარების მომდევნო ეტაპზე დაიკარგა, ზოგი კი იქცა მოდალობის კატეგორიის იმ სისტემის ნაწილად, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საშუალ ქართულში და ფორმირებას განაგრძობს ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენადაც მოდალობის კატეგორიის გრამატიკალიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

¹ „დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატველი ანალიზური და სინთეზური ზმნური ფორმები ქართულ სამწერლობო ენაში“, სტატია გადაცემულია დასაბეჭდად „ენათმეცნიერების საკითხების“ 2019 წლის ნომრისათვის.

1.2. მოდალური სემანტიკის გამოხატველი ლექსიკური საშუალებები ძველ ქართულში

ძველ ქართულში მოდალური სემანტიკის გამოხატვა ძირითადად ანალიზური ნარმოების რთულ ზმნებსა და მათგან ნაწარმოებ ფორმებს ეკისრება, რომლებიც ერთდროულად არაერთ მოდალურ შინაარსზე მიუთითებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ერთი ფორმა შესაძლოა გამოხატავდეს სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას. მაგალითად, ინგლისურ ენაში მოდალური ზმნა „may“ გამოხატავს როგორც დეონტურ მოდალობას (ნებართვას), ისე – ეპისტემურ მოდალობას (ვარაუდს, ალბათობას). ასევე მოდალურმა ზმნამ „can“, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა დინამიკური (შესაძლებლობის) მოდალობის გამოხატვაა, სასაუბრო ინგლისურში შეიძინა დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვის ფუნქციაც (Palmer 1997, 1999, 2001; Traugott 2011). „იგივე ვითარებაა ქართულ ენაშიც, როცა „უნდა“ მოდალური ფორმა გამოხატავს როგორც დეონტურ, ისე ეპისტემურ მოდალობას ან „ვერ“ ნაწილაკის შემთხვევაში, როცა იგი გამოხატავს დინამიკურ მოდალობას, მაგრამ გარკვეულ კონსტრუქციებში გვევლინება ეპისტემური შინაარსითაც“ (Sharashenidze, Advadze, Ghambashidze 2019). იმავეს თქმა შეგვიძლია რთულ ზმნებზეც, ძველ ქართულ ენაში, ერთი მხრივ, **კელ-ენიფების** და **ძალ-უც** ანალიზური ფორმები ერთდროულად გამოხატავენ დეონტურსა და დინამიკურ მოდალობას, მეორე მხრივ, **ჯერ-არს** რთული ზმნა გამოიყენება როგორც დეონტური, ისე ეპისტემური მოდალური სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში. შესაბამისად, იკვეთება, რომ ქართული ენისთვის, ისევე როგორც სხვა არაერთი ენისთვის, დამახასიათებელია ერთი ფორმით სხვადასხვა მოდალური სემანტიკის გამოხატვა.

კელ-წიფება რთული ზმნის შემთხვევაში სემანტიკურ ნაირგვარობას უნდა განაპირობებდეს მისი შემადგენელი სახელური კომპონენტი. **კელი** არის ადამიანის სხეულის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია შეასრულოს მოქ-

მედებათა უმეტესი ნაწილი. **ჯელ** ძირზე წიფება („წევა, მოწვევა, მიწვევა, გათანასწორება, მოახლება, მოვლინება“ (აბულაძე 1973, 549, 481, 254, 287) ზმნური კომპონენტის დართვით ვიღებთ რთულ ზმნას, **ჯელ-წიფება**, შემდეგი მნიშვნელობით – „შეძლება, უფლება, გაბედვა“ (აბულაძე 1973, 569). ქართულ ენაში **ხელ** ფუძესთანაა დაკავშირებული არაერთი იდიომი (ხელი ჩაიქნია, ხელი მოეცარა, ხელში ჩაიგდო...), რომლებიც ცხადყოფენ ამ ორგანოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, ქართულ ენაზე მეტყველთათვის **ხელი** ასოცირდება როგორც ფიზიკურ ქმედებებთან, ისე – მენტალურ პროცესებთან, ამიტომაც, რომ **ჯელ-წიფება** ზმნით შეიძლებოდა გამოხატულიყო როგორც შინაგანი ან შექცენილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, ისე – უფლების ქონა, ნებართვა, გაბედვა...

ჯელ-წიფება ფორმა, გარდა შინაარსისა, საინტერესოა აგებულების თვალსაზრისითაც. „წიფება“ ზმნა რთულ ზმნაში მონაწილეობს როგორც ობიექტური („ამის კაცისა პატიჟი მე არარაჲ **ჯელ-მენიფების**“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 32:7, Titus)), ისე – სუბიექტური წყობის ფორმებით (არამედ ვეცხლისა მისთჳს, რომელ სთქუ გაბაელის თანა, ვითარ **ჯელ-ვინიფო** მოღებად? (S, 5:2, Titus)) (იმნაიშვილი 1996, 543).

სუბიექტური წყობის ფორმები ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. შინაარსობრივად **ჯელ-ვინიფე** ტიპის ფორმები გამოხატავენ როგორც დეონტურ მოდალობას, ისე დინამიკურ მოდალობას, ოღონდ მხოლოდ მის „ნეიტრალურ“, გარე-მოპირობებზე დამოკიდებულ სახეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაბედვის, უფლების უქონლობის დეონტური მოდალური სემანტიკა **ჯელ-წიფება** ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებითაა გადმოცემული:

„რასა **ჯელ-ინიფა** ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარი-სა საქმე?“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 4:28, Titus).

„და ცხად არს ესე ჩუენ შორისცა, რამეთუ არავინ **ჯელ-ინიფის** თჳნიერ მღდელთა კითხვაჲ წიგნისაჲ საკურთხეველსა

უფროდს ხოლო დღესა კჯრიაკესა და ერისა კრებასა“ (მც. აპოკრ. 26:3, Titus).

ვერ ჯელ-ინიფოს პირველმან მან ქმარმან, რომელმან განუტევა იგი მიქცევადა და მიყვანებად მისა ცოლად შემდგომად მეგინებისა მისისა, რამეთუ ბილნ არს წინაშე უფლისა ღმრთისა (S, 24:4, Titus).

მეორე მხრივ, სუბიექტური წყობის **ჯელ-ნიფება** ზმნა დასტურდება გარემო პირობებით განპირობებული ქმედების შესაძლებლობისა თუ შეუძლებლობის, „ნეიტრალური“ დინამიკური სემანტიკის, გამომხატველ კონტექსტებში:

ხოლო ჰეროდია ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი და **ვერ ჯელს-ინიფებდა**, რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად უწყოდა კაცი იგი მართლად (მარკ. 6:19-20, C, Titus).

„ჯელ-ნუ-ინიფოსა ღმერთმან განმზადებად ტაბლად უდაბნოსა? და კუალად იტყოდეს: „პურის-ცემადცა ნუ უძლოსა ღმერთმან, ანუ განმზადებად ტაბლად ერსა თჯსსა?“ (თარგმ. მათ. სახ. 3:30, Titus).

ობიექტური წყობის **ჯელ-ნიფება** ზმნა ძველ ქართულში აქტიურად გამოიყენებოდა როგორც დეონტური, ისე „ნეიტრალური“ და „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად.

დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატვა:

„ამის კაცისა პატიჟი მე არარაა **ჯელ-მენიფების**, არცა აღბმად ძელსა, არცა პყრობილებად, არამედ ნარუძღუანო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზაპანსა, და, რად-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას **ჯელ-ენიფების** სიკუდილი და ცხორებად“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 32:7, Titus).

„და ჰრაგუელ ფუცა არაგანტევებად ჩემი ათოთხმეტ დღე, რადთა ვიყოფოდი მე მათ თანა და **ვერ ჯელ-მენიფების** შეურაცხ-ყოფად ფიცი მისი“ (OJ, 9:4, Titus).

„ნეიტრალური“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატვა:

და მერმე სხუამან ჰრქუა: „ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჯელ-მენიფების მოსლვად“ (ლ. 14:20, CDEFGHIK, Titus).

უკუეთუ ვინმე არა იშუეს მეორედ, ვერ ჯელ-ენიფების ხილვად სასუფელი ღმრთისად (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 178:23, Titus).

შემდეგ მაგალითებში გადმოცემულია „სუბიექტზე ორიენტირებული“ დინამიკური მოდალური სემანტიკა:

„ვითარ ჯელ-ენიფების შობად კაცსა ბერსა?“ (ი. 3:4, DEFGHIK, Titus).

„ნუ ჯელ-ენიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძლუანვად?“ (ლ. 6:39, CDEFGHIK, Titus).

და მერმე ჰრქუეს ქრისტესა: „სოლომონმან ორმეოცსა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: „დავარღვო და სამსა დღესა აღვაშენო ეგე-ო!“ მაშინ ქრისტემან ჰრქუა: „მე ჯელ-მენიფების დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 41:5, Titus).

როგორც ითქვა, კიდევ ერთი რთული ზმნა ძველ ქართულში, რომელიც გამოხატავს დინამიკურსა და დეონტურ მოდალურ სემანტიკას არის **ძალ-უც**, რომლის პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-ი – „ძალა, შეძლება, ძლიერება“ (აბულაძე 1973, 523), მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუპლეტურად ანარმოებს მწკრივებს (პირველ სერიაში – ცემა, მეორეში – დება).² აღნიშნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება“, შესაბამისად, **ძალ-უც** გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია“, რაც ცალსახად დინამიკურ, შესაძლებლობის მოდალურ სემანტიკაზე მიუთითებს. ჩვენი დაკვირვებით, **ძალ-უც** რთული ზმნის შემთხვევაში მისი შემადგენელი სახელური და

² დება – «ქუან/ქონება», ყოფნა, განდება, «დავრდომა», დადება, ცემა, გდება (აბულაძე 1973:138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა ნახმარი.

ზმნური კომპონენტები არ განაპირობებენ ამ ანალიზური ფორმის დეონტურ მოდალურ მნიშვნელობასთან კავშირს. ვფიქრობთ, მთლიანად რთულ ზმნას უნდა განევითარებინა დეონტური მნიშვნელობა, რადგან ლოგიკურად მოლაპარაკე პირი თანამოსაუბრე ან სხვა პირისაგან მოითხოვს იმ ქმედების შესრულებას, რომლის შესრულებაც, მოლაპარაკის აზრით, სუბიექტს შეუძლია და აუცილებელიცაა.

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან, „ნეიტრალური“ შესაძლებლობა:

„ან მიქორწინებია და ვერ ძალ-მიც მოსლვად“ (ფსევდო-მაკ. 314:4, Titus).

„ერთსა კიდობანსა შენსა, სავსესა სამოსლითა შენითა, ძალ-უც მრავლისა ერისა, სიცივითა შეჭირვებულისა შემოსაჲ“ (სწავ. 102:26, Titus).

„ხოლო მივიცვალენით რაჲ ქუეყანით, არღარა თჯთ ჩუენ ამათ ძალ-გვც ესე ქმნად აღსაარებისა მიერ, რამეთუ დაიჭვის კარი“ (თარგმ. ლ. სახ. 71:28, Titus).

„და შენცა, მორწმუნეო, ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები, არამედ უკუეთუ ვერ ძალ-გიც ქაღნულებად, იქორწინე სინმდით“ (თარგმ. მ. სახ. 334:29, Titus).

წარმოდგენილ მაგალითებში გამოხატულია დინამიკური მოდალობის ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებლობა განპირობებულია გარემო ფაქტორებით, ობიექტური რეალობით და არ არის დამოკიდებული სუბიექტის ცოდნასა და ამა თუ იმ უნარზე.

„სუბიექტზე ორიენტირებული“ შესაძლებლობა:

ამან ეგრე თქუა: „ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად“ (თარგმ. მ. სახ. 398:19, Titus).

ხოლო ესე არღა იცოდეს, თუ მძინარესაცა ძალ-უც ამისა ქმნად (თარგმ. მ. სახ. 145:30, Titus).

„ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერ-
თისაცა თმისა განსპეტაკებად გინდა დაშავებად“ (მ. 5:36,
DEFGHIKS, Titus).

„და კუალად რად-იგი გონებაჲმან გულისკმა-ყოს, ენასა
გამოთქუმად ვერ ძალ-უც“ (თარგმ. მ. სახ. 67:6, Titus).

ყველა მოყვანილ მაგალითში ძალ-უც ზმნა გამოხატავს
შინაგან შესაძლებლობასა და უნარს.

შემდეგ კონტექსტებში ძალ-უც რთული ზმნა დეონტური
მოდალური სემანტიკის გამომხატველია:

„იოვანე, რადსათჳს გუაცვილობ, ანუ ვინ(ად) მოინიე, ჩუე-
ნი არს ადგილი ესე და შენ ვერ ძალ-გიც ყოფად აქა“ (იო. ზედ.
44:8, Titus).

განდევნა იგი ბერმან და ჰრქუა მას: „ესე ადგილი მონა-
ზონთად არს, ხოლო შენ ერისკაცი ხარ და ვერ ძალ-გიც აქა
მკვდრობად“ (სწ. წმ. მამ. 281:21, Titus).

ვითარ ძალ-გიც რქუმად ძმისა შენისა: „ძმაო, მიტევე,
აღმოგილო ნუელი თუალისაგან შენისა, თჯთ თუალსა შინა
შენსა დირისა არამხედველსა?“ (კომ. ლ. სახ. 84:28, Titus).

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას,
რომ ანალიზური ნარმოების ძალ-უც ზმნა ძალზე იშვიათად
გამოიყენებოდა დეონტური მოდალური სემანტიკით, მისთვის
დომინანტური იყო დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური
სემანტიკის გამოხატვა.

ძველ ქართულში არსებული მოდალური სემანტიკის
მქონე ანალიზურ ფორმათაგან გამორჩეულია ჯერ-არს რთუ-
ლი ზმნა, რომელიც ყველაზე მეტადაა მიდრეკილი მოდალუ-
რი ელემენტობისაკენ. ჯელ-ენიფების და ძალ-უც ანალიზური
ფორმებისაგან განსხვავებით ჯერ-არს დევერბალიზებულია,
ძველ ქართულშივე უპირო ფორმადაა ქცეული, მოდალური
სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება მხოლოდ ჯერ-ყოფა
ზმნის („ჯერ-ყოფა“ – დაკმაყოფილება (სარჯველაძე 1995,

278)³) მესამე პირის ფორმა, რომელიც ძველ სამწერლობო ქართულში ლექსიკური შინაარსით აღარაა დატვირთული – „ჯერ-ყოფა“ – «ღირ-», «სათანადო ყოფა», ღირს ყოფა, შესაფერისობა, «გება» (აბულაძე 1973, 574). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში **ჯერ-არს** ზმნის გრამატიკალიზაცია დაიწყო, თუმცა ამ პროცესს **ჯერ-არს** ფორმის შემთხვევაში ხელი შეუშალა ძველ ქართულში პარალელურად მიმდინარე რთულ ზმნათა რღვევისა და ორგანულ წარმოებაზე გადასვლის პროცესმა (X-XI სს.) (ქავთარაძე 1964,162). დროთა განმავლობაში **ჯერ-არს** ზმნაც ისევე გავიდა ხმარებიდან, როგორც ყველა სხვა დანარჩენი რთული ზმნა,⁴ მისი მოდალური სემანტიკის გამოხატვა კი სხვა ორგანული წარმოების ფორმებმა ითავეს.

ძველ ქართულში **ჯერ-არს** რთული ზმნის ამოსავალი, თავდაპირველი ფუნქცია დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატვაა:

ეტყოდა იოანე ჰეროდეს, ვითარმედ: „არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმისცოლი შენი“ (მრკ. 6:18, CDEFGHIK, Titus).

„ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რადთა განვიძარცვო შიში ჯორცთა ამათ ჩემთად“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 68:7, Titus).

„ხოლო ან, საყუარელნო, ჯერ-არს ჩუენდაცა ამიერითაგან უმეტწსად-ლა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მონამეთა“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 76:7, Titus).

³ **ჯერ-ყოფა** (დაკმაყოფილება) ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება, თანაც არა რთულ ზმნათათვის დამახასიათებელი დაწერილობით: ჯერ ვარ, ჯერ ხარ. აღნიშნული ფორმები კი მოდალობის კატეგორიასთან კავშირს არ ავლენენ.

⁴ არ ვგულისხმობთ სტილისტური თვალსაზრისით, არქაიზაციის მიზნით, **ჯერ-არს** ფორმის გამოყენებას საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდის ტექსტებში.

„თქუნ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა **ჯერ-არს** შე-
მოსლვად თქუენი სახლსა ღმრთისასა“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I,
184:10, Titus).

მოყვანილი კონტექსტებიდან ჩანს, რომ **ჯერ-არს** ზმნა
ძველ სამწერლობო ქართულში გამოხატავდა დეონტური მო-
დალობის სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს: სხვადასხვა სახის
ვალდებულებას, უფლების ქონა/უქონლობას, აკრძალვას.

საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშივე **ჯერ-არს** ზმნა
იძენს ეპისტემურ მოდალურ შინაარსსაც. ლოგიკურად, დეონ-
ტური მოდალური სემანტიკის გამომხატველმა ფორმამ შეიძ-
ლება განივითაროს ეპისტემური მოდალური შინაარსი, რად-
გან ორივე სემანტიკა ემყარება დარწმუნებულობას – რო-
გორც მბრძანებელი პირი დარწმუნებულია, რომ მის მიერ
მოთხოვნილი ქმედება აუცილებლად შესასრულებელი და სა-
ჭიროა, ისე ეპისტემური აუცილებლობის შემთხვევაში მოლა-
პარაკე პირი დარწმუნებულია ამა თუ იმ ფაქტის ჭეშმარიტე-
ბაში.

სიცხადისათვის წარმოვადგენთ მაგალითებს, რომლებ-
შიც **ჯერ-არს** ფორმა ეპისტემური მოდალური შინაარსის გა-
მომხატველია:

„და გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი,
იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ **ჯერ-არს** ესე ყოფად,
არამედ არღა არს აღსასრული“ (მ. 24:6, XDEFGHIK, Titus).⁵

და შემდგომად ნათლის-ღებისა მადლითა სულისა წმი-
დისადათა თქუას რად იგი **ჯერ-არს** ყოფად მისა და რომელსა
საზომსა მიწვენად არს (კიმ. 217:33, Titus).

„შვილნო და ძმანო, აჰა ესერა ჟამი ჩემისა სოფლით წარ-
სლვისად მონვენულ არს, და **ჯერ-არს** განსლვად ჩემი ჯორცთა
ამათგან, და გევედრები ყოველთა, რადთა ლოცვა-ჰყოთ
ჩემთჳს“ (მამ. ცხ. 208:31, Titus).

„**ჯერ-არს** ძისა კაცისად მიცემად და ჯუარცუმად და მე-
სამესა დღესა აღდგომად“ (კლარჯ. მრ. 222:35, Titus).

⁵ > C.

მოყვანილ კონტექსტებში **ჯერ-არს** რთული ზმნის საშუალებით გამოხატულია გარდაუვალი, მომავალში დანამდვილებით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა ქეშმარიტებაში მოქმელს ეჭვი არ ეპარება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს ე.წ. „კატეგორიულ მყოფადთან“, რომელზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ზოგადად, ძველ ქართულში ანალიზური და სინთეზური წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნილ, ისე – ორიგინალურ ტექსტებში (ქავთარაძე 1964, 165), თუმცა უკვე ძველ ქართულში შეინიშნება ანალიზური ფორმების სინთეზურით ჩანაცვლების ტენდენცია. ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე 1964, 162), რასაც ცხადყოფს ქართული ოთხთავის რედაქციათა ჩვენებები:

*ხოლო მათ ჰრქუეს: „**ძალ-გვც**“.* (მ. 20:22 XDEFGHIK, Titus) **გვძლავს** (C, Titus).

*„**ძალ-გიცა** სასუმელი შესუმად?“* (მარკ. 10:38 DEFGHIK, Titus) **გიძლავს** (C, Titus).

*დალათუ ვერ **ძალ-უც** აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი* (ლ. 11:8 C, Titus) **არა ეძლოს** (DEFGHIK, Titus).

*ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ ან არლა **ძალ-გიც** ტვრთვად* (ი. 16:12 XDEFGHIK, Titus) **ვერ შეუძლოთ** (C, Titus).

X-XI საუკუნიდან გვხვდება **ძალ** ძირისაგან ნაწარმოები **-იან** დაბოლოებიანი სინთეზური ფორმებიც: *მე მონა ვარ შენი, შეგიძლიან ყოვლისა პატიჟისა მოპყრობა* (ვისრ. 244:29, Titus).

X საუკუნიდან სტატიკური ზმნები ანმყოში **-ია** დაბოლოებით გამოიყენებიან, მიუხედავად იმისა, რომ **-იან** დაბოლოებიანი ზმნები საშუალ ქართულშიც დასტურდება: *ნამსაცა უშენო სიცოცხლე არ შემიძლია* (ვისრ. 271:2, Titus).

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, მოდალური სემანტიკის ანალიზურმა **ძალ-უც** ზმნამ სინთეზურ

ნარმოებაზე გადასვლისას საკუთარი ძირის სინთეზური ფორმები განივითარა (**უძლავს>შეუძლიან>შეუძლია**). სხვაგვარი ვითარება გვაქვს **კელ-ენიფების** და **ჯერ-არს** ზმნების შემთხვევაში, მათ საკუთარი ძირისგან ნაწარმოები სინთეზური შესატყვისები არ მოეპოვებათ, მათ ნაცვლად ქართული ოთხთავის რედაქციებში რამდენიმე სინთეზური ვარიანტი იძებნება:

ანუ ვითარ ვის **კელ-ენიფების** სახლსა ძლიერისასა შესლვად (მ. 12:29 DEFGHIK).

შდრ.: ანუ ვითარმე ვინ **უძლის** შესლვად სახლსა ძლიერისასა (იქვე, C).

კელ-მე-ენიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად? (მ. 9:15 DEFGHIK).

შდრ.: ნუთუ **ეგების** შვილთა საქორწინისათა გლოვად? (იქვე, C) და სხვ.

რამეთუ ესრე **ჯერ-არს** ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლჳ (მ. 3:15 D FG).

შდრ.: რამეთუ ესრე **შუენის** ჩუენდა აღსრულებად ყოველისა სიმართლისა (იქვე, C HIK).

არა **ჯერ-იყო** შენდაცა რადთამცა შეინყალე მოყუასი იგი შენი (მ. 18:33 DE FG HIK).

შდრ.: არამე **ღირდა** შენდაცა შენყალეზად მოყუსისა მის შენისა? (იქვე, C).

ამრიგად, მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ზმნის სინთეზური ფორმების გამოყენების ფაქტი ძველ ქართულშივე დასტურდება.

1.3. მოდალური სემანტიკის გამოხატველი ბრამატიკული საშუალებები ძველ ქართულში

1.3.1. ცნობილია, რომ არაერთ ენაში მოდალობის კატეგორია დაკავშირებულია დროის კატეგორიასთან (ბაიბი 1988, პალმერი 1986, 2001, ჰანანი 2004). ამ მხრივ გამონაკლისი არც

ქართული ენაა, კერძოდ, ვგულისხმობთ მოდალობისა და მომავალი დროის ურთიერთმიმართებას, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის საწყის ეტაპზევე ისახება და განვითარებას პოულობს ენის არსებობის შემდგომ საფეხურებზე.

ძველ ქართულ ენაში მყოფადის გამოსახატავად სინთეზურ ფორმებთან ერთად (I კავშირებითი, II კავშირებითი) გამოიყენებოდა ანალიზური წარმოებაც – საუღლებელი ზმნის მასდარი ვითარებით ბრუნვაში „ყოფა“ ზმნის ანმცოს მწკრივის ფორმებთან ერთად გამოხატავდა მომავლის სპეციფიკურ სახეობას, ე.წ. კატეგორიულ მყოფადს,⁶ რომელიც გულისხმობდა, ერთი მხრივ, მომავალში აუცილებლად მოსახდენ მოქმედებას, ანუ მოქმედების **აუცილებლობას (ეპისტემური მოდალობა)**, მეორე მხრივ, გარკვეული ქმედების შესრულების **ვალდებულებას (დეონტური მოდალობა)**. „ღუანლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 13:21, Titus). „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჯითა შენითა სლვად, რამეთუ ცოცხალი არლარა გამოსლვად ხარ“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 21:7, Titus) – მოცემულ მაგალითებში მყოფადის პერიფრასტული მოდელი გამოხატავს მოქმედებას, რომლის შესრულების აუცილებლობაში, გარდაუვლობაში მთქმელი დარწმუნებულია (**ეპისტემური მოდალობა**). შემდეგ კონტექსტში კი მყოფადის ანალიზური წარმოებით გადმოცემულია სავალდებულო ქმედებები, რომელთა შესრულებაც მოუწევს სუბიექტს (**დეონტური მოდალობა**): „ძმაო თეოდორე, პირველად გითხრობ შენ აქა თუ იყო, ბოსტანი **მორწყვად გიც** და ძმათა შეჭამადი **ქმნად გიც**, და ჟამნი ყოველნი ძმათა თანა **ლოცვად გისხენ** დაუცადებლად და ყოველი ნებად შენი დასდვა წინაშე მაღლისა. ღამე არა **დანოლად ხარ** და ცისკრისა **ლოცვად მღვდარებით აღსრულებად გიც**, ქალაქად **წარსლვად ხარ** ძმათა

⁶ ორპირიან ფორმებში მეშველი ზმნის ფუნქციით გამოიყენებოდა მიც (=მაქვს), გიც, უც (თუ სუბიექტი მხოლოდით რიცხვშია) ან მისხენ, გისხენ, უსხენ (თუ სუბიექტი მრავლობითშია).

მსახურებისათვის“ (ქრესტ. I, 306:40-44, Titus) (ციხელაშვილი 2017, 397).

საინტერესოა ნ. კოტინოვის მოსაზრება მყოფადის აღნერიითი საშუალების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, **ყოფად არს მიღებული ჩანს ჯერ-არს ყოფად კონსტრუქციისაგან. ჯერ ხშირი გამოყენების შედეგად უნდა დაკარგულიყო**“ (ნ. კოტინოვი 1965, 101). მეორე მხრივ, ი. ქავთარაძის თქმით: **მოსლვად არს ტიპის გამოთქმებს ჰქონდა კატეგორიული, უახლოეს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი, სავალდებულო მოქმედების შინაარსი. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კატეგორიულობის გასაძლიერებლად და გასახაზავად მასდარის მიმართულებითის ფორმას უძღვის ჯერ-არს და მისთანა (შეჰგავს, შუენის, ჰჷამს...) გამოთქმები: ჯერ-არს მოსლვად** (ქავთარაძე 1971, 130-131). ჩვენთვის მეორე მოსაზრება უფრო მისაღებია, რადგან, როგორც ერთ-ერთ თავში (1.1.) აღვნიშნეთ, ძველ ქართულში **ჯერ-არს** რთული ზმნა გამოიყენებოდა როგორც დეონტური, ისე ეპისტემური მოდალური შინაარსით, რადგან პერიფრასტული მყოფადიც მომავალში სავალდებულო, აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გადმოსცემდა, ამიტომ, ვფიქრობთ, **ჯერ-არს მოსლვად და მოსლვად არს** ტიპის გამოთქმები მსგავსი შინაარსის, კატეგორიულობის, აუცილებლობის გამომხატველ ორ სხვადასხვა საშუალებას წარმოადგენდა, უბრალოდ, მოდალური ზმნის შემცველი კონსტრუქცია უფრო მეტად უსვამდა ხაზს კატეგორიულობისა და აუცილებლობის სემანტიკას. ზოგადად, კატეგორიული მყოფადის ფორმების **ჯერ-არს ყოფად** კონსტრუქციისაგან წარმომავლობას ვერ დავეთანხმებით ასევე იმიტომ, რომ პერიფრასტული მყოფადის ორპირიანი ფორმებისათვის არც ძველ და არც საშუალო ქართულში არ იძებნება შესაბამისი **ჯერ** კომპონენტის ანალიზური წარმოება. **ჯერ-მიც, ჯერ-გიც, ჯერ-მისხენ, ჯერ-გისხენ** ტიპის ფორმები ქართული ენის წერილობით ძეგლებში არ დასტურდება. ასევე უნდა ითქვას, რომ მოდალური სემანტიკით მხოლოდ **ჯერ-არს** რთული ზმნის III პირის ფორმა გამოიყენება, კატეგორიული მყოფადის ფორმები კი ყველა პირში გამოხატავდნენ სავალდებუ-

ლო, აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას. საგულისხმოა, რომ **ჯერ-არს** მოდალურზმნიანი და ოდენ მასდარული კონსტრუქციები პარალელურად დასტურდება ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციის იკითხვისებში: *ნუ შესძრუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად* (მ. 24:6, XDEFGHIK, Titus). **შდრ.:** *ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს ესე ყოველი, ხოლო აღსასრული არღა იყოს* (იქვე, C, Titus). *ნუ შესძრუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად* (მრკ. 13:7, DEFGHIK, Titus). **შდრ.:** *ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს, ხოლო აღსასრული არღა იყოს* (იქვე, C, Titus). *ეგრეცა ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ვნებად მათგან* (მ. 17:12, XDEFG, Titus). **შდრ.:** *ეგრეცა ძე კაცისაჲ ვნებად არს მათგან* (იქვე, C,⁷ Titus). მოყვანილი კონტექსტების მიხედვით ჩანს, რომ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია (FG HIK) ისევე იყენებს რთულ ზმნიან კონსტრუქციას, როგორც შედარებით ძველი ოთხთავები (X DE), განსხვავებას ავლენს მხოლოდ ადიშის ოთხთავი (C), რასაც ჩვენ არა დროულ ცვლილებად, არამედ რედაქციულ სხვაობად მივიჩნევთ, მითუმეტეს, რომ X საუკუნიდან ინფინიტივის მოშლასთან ერთად მყოფადის პერიფრასტულ მოდელშიც ხდება ცვლილება, მასდარს ენაცვლება მიმღეობა, შესაბამისად, **მოსლვად არს** ტიპის ფორმები თანდათან გადის ხმარებიდან, **ჯერ-არს** მოდალური სემანტიკის რთული ზმნაკი საშუალო ქართულშიც გვხვდება, შესაბამისად, **მოსლვად არს** ტიპის ფორმები ვერ იქნებოდა **ჯერ-არს მოსლვად** ტიპის მოდალური კონსტრუქციის ცვეთის შედეგად მიღებული, უბრალოდ **ჯერ-არს** მოდალური ზმნაკი, ისევე როგორც სხვა მოდალური ზმნები (იხ. 1.1.), ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე კონსტრუქციას ქმნის სხვადასხვა ბრუნვაში დასმულ მასდართან, რომელიც საკუთრივ ვითარებითი ბრუნვის ფორმით მონაწილეობდა მყოფადის გამომხატველ ანალიზურ წარმოებაში.

⁷ ეგულების ვნებად HIK.

მყოფადის გამოხატვის ანალიზურ მოდელში მასდარის მიმღობით ჩანაცვლება, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულშივე მოხდა: ვად სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ... მომავალ არს საცთური (მ. 18:7 DEFG, Titus). ... მომავალ არიან (იქვე, HIK, Titus). შდრ.: ვად ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთური (იქვე, C, Titus). „ხუცეს, და მეცა დიდსა ლუანლსა განმზადებულ ვარ“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 13:23, Titus). და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I, 7:25, Titus); „სცეთ შვილო ჩემო, რამეთუ დაფარვად მოიგონე, რამეთუ რაეცა ვიდრე სიკუდილადმდე საქმედ გიც, იცის ანვე, დაღათუ ასი წელი გედვას, არამედ მითხარ, შვილო ჩემო, რაე უკუე არს ბრალი შენი“ (ქრესტ., 306:17, I, Titus). საგულისხმოა, რომ მყოფადის გამოხატვის პერიფრასტულ მოდელში ინფინიტივის მიმღობით ჩანაცვლებით შესაბამისი მოდალური შინაარსი (კატეგორიულობა, სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა) უცვლელი დარჩა (ქავთარაძე 1971, 136).

1.3.2. შესაძლებლობა-დაეჭვების, ვარაუდის მოდალური სემანტიკით ძველ ქართულში გვხვდება **ხოლო, ხოლოთუ, თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამეთუ, ჰელათუ, ჰეთუმცა, -ძი, -ვე, სამე ... ნაწილაკები.**

დაეჭვების ნაწილაკის ძირითადი კომპონენცია **ხოლო**, რომელსაც ემატება **თუ** პირობითი კავშირი: **ხოლოთუ**. ეს უკანასკნელი შესაძლოა ასევე გართულდეს **ვითარ, გინც** (იშვიათად) ელემენტებით. თითოეული კიდეე უფრო აძლიერებს დაეჭვების სემანტიკას (ცინდელიანი, 1981, 30). უძველეს ნუსხებში ამ ფუნქციით, ფაქტობრივად, დასტურდება **ხოლო // თუ ხოლო** ნაწილაკები, ხოლო უფრო გვიანდელ ნუსხებში აღნიშნულ ნაწილაკებს ემატება: **გინც, გინა, ვითარ (ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ):** „ნარვიდე ოპიზას და მსწრაფლ ხოლო მივიდე მათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I 255:7-8, Titus); აღდეგი და ევედრებოდე ღმერთსა

შენსა, გინც ხოლოთუ განმარინნეს ჩუენ (სინ. მრ. 163:18, Titus); ან გამოიყენება: **უკუეთუ, თუ, -დი**: „**ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რას-მე შევემთხზო და ბოროტსა ამას განვერე**“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I 24:4-5, Titus). „**ვინ უწყის, თუ ადგილი-ცა იცოდენ**“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I 87:15-16, Titus). მოცემულ მაგალითებშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ ორმაგი გამოყენება, რამდენადაც თუ კავშირი გარკვეულ შემთხვევებში დაეჭვების ნაწილაკის ფუნქციითაა გამოყენებული. „**ისმინე, ჰსძინავს-დი ანუ ჰღვძავს**“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I 294:13 J, Titus). აღნიშნულ მოდალურ ნაწილაკთა მნიშვნელობაა „თუ, ეგების, იქნებ, შეიძლება“ (მუჟავანაძე 2019, 47).

ზემოაღნიშნული ნაწილაკების გვერდით გამოიყენება **ჰეთუმცა, ჰელამეთუ, ჰელათუ...** ნაწილაკებიც, რომლებიც ასევე დაეჭვებას გამოხატავენ, თუმცა შედარებით იშვიათი გამოყენებისაა, შეუსაბამო ჩანს ქართული ენის ბუნებისათვის და ბუნდოვანების გამო მალევე იკარგება (ცინდელიანი 1981, 30): „**და მეორედ, რამეთუ თჳსთა ჴელითა უცხოსა ეკალსა მოვჰმკი, ჰეთუმცა ვითარ უძლე მომკად ეკლოვანებასა მას სული-სა ჩემისასა**“ (სნ. წმ. მამ. 388:25, Titus); „**ჰბორგთა გსურისა მსხუერპლვად. ჰელათუ ჩემდამო მემსხუერპლებოდით**“ (ხრ. გიორ. მონ. 219:20, Titus); „**სალბუნი და ნამალი დაგდვა, რადთა ჰე, ლამე თუ განიკურნო**“ (ძვ. ქართ. აგ. ძეგ. I 18:13-14, Titus (მუჟავანაძე 2019, 47)).⁸ მოცემული ნაწილაკები ძველ ქართულში ცალკე დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს როგორც ფორმათა მრავალფეროვნების, ისე სემანტიკური მხარის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, კორპუსული კვლევა **ჰე, ლა, მე, თუ, მცა** ელემენტთა მონაწილეობით არაერთ საინტერესო ფორმას გამოავლენს და კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის მოდალურ ნაწილაკთა სისტემას ძველ ქართულში.

⁸ მოცემულ მაგალითში არასწორ დაწერილობასთან უნდა გვეკონდეს საქმე, რადგან სხვა შემთხვევებში ვხვდებით მსგავსი აგებულების: **ჰელამე, ჰელათუ, დალათუ, დალათუმცა** ნაწილაკების ერთიან დაწერილობას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნაზმნარი მოდალური ნაწილაკები (**ეგებ, იქნებ, ლამის, უნდა**),⁹ რომლებიც, მართალია, ძველ ქართულში არ დასტურდებიან, მაგრამ მომდინარეობენ ძველ ქართულ ენაში აქტიურად ხმარებადი ზმნური ფორმებისაგან, რომლებშიც ძველ ქართულშივე შეინიშნება მოდალური სემანტიკის გაგება: **ეგების>ეგებ, იქნების>იქნებ, ლამის** (ფორმოზრივი ცვლილების გარეშე საშუალო ქართულში **ლამის** ზმნის სემანტიკა, სურვილის, ნდომის გამოხატვა ზოგადდება და III პირის ფორმა ახალი შინაარსით იტვირთება – „თითქმის, ცოტადა აკლია, რომ... სულ ცოტაც... კინალამ“ (ქეგლ.)), **უნდა** (უნებს ზმნის უწყვეტლის ფორმის (უ-ნ-დ-ა) -დ სავრცობის ძირზე შერწყმით, ზმნამ უწყვეტელში -ოდ სავრცობი გაიჩინა და ახალი პარადიგმა გამართა: უნდა, უნდოდა, უნდოდეს (სარჯველაძე 1984, 412-413), სემანტიკური თვალსაზრისით კი **უნდა** მოდალურმა ფორმამ ძირითადად ორი მნიშვნელობა განივითარა: ერთი მხრივ – „სურს, სნა-დია“, ხოლო მეორე მხრივ – „სჭირდება, ესაჭიროება“. **უნდა** მოდალური ნაწილაკი (ელემენტი) მეორე მნიშვნელობისგან მომდინარეობს და მას საშუალო ქართულში ვალდებულების შინაარსის გამოხატვა ეკისრება (ჯორბენაძე 1993). თანამედროვე ქართულში კი **უნდა** მოდალურმა ელემენტმა ეპისტემური ვარაუდის სემანტიკის გადმოცემაც შეითავსა (შარაშენიძე 2010).

⁹ აღნიშნულ მოდალურ ფორმებზე მსჯელობას ცალკე სპეციალური თავი ეთმობა (5.1).

თავი 2. დინამიკური მოდალობა ქართულში¹⁰

დინამიკური, შესაძლებლობის სემანტიკა თავდაპირველად ძველ ქართულში აღწერილი იყო გამოხატული.¹¹ შინაგანი ან შექცენილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, როგორც ნესი, გამოიხატებოდა **ველ-ენიფების** და **ძალ-უძს>ძალ-უც** რთული სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნებითა და მათგან მიღებული სახელზმნური ანალიზური ფორმებით. ერთი მხრივ, გვქონდა: **ველ-ენიფების, ველმნიფება** აქუს, **ველმნიფე** არს, მეორე მხრივ, **ძალ-უძს>ძალ-უც, შემძლებელ** არს, **შესაძლო** არს (ჩემდა, შენდა, მისდა...), **შედლებად** აქუს, **ძალი** აქუს, **ძალი** შესწევს, **ძალი** მოეცა ტიპის ფორმები.

ველი არის ადამიანის სხეულის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია შეასრულოს მოქმედებათა უმეტესი ნაწილი. **ველ** ძირზე ნიფება („წევა, მოწევა, მიწევა, გათანასწორება, მოახლება, მოვლინება“ (აბულაძე 1973, 549, 481, 254, 287)) ზმნური კომპონენტის დართვით ვიღებთ რთულ ზმნას, **ველ-ნიფება**, შემდეგი მნიშვნელობით – „შეძლებება, უფლება, გაბედავა“ (აბულაძე 1973, 569). **ნიფება** ზმნა რთულ ზმნაში მონაწილეობს როგორც ობიექტური („ამის კაცისა პატიჟი მე არარად **ველ-მენიფების**“ (აგ. ლიტ. ძეგლ. 32:7 Titus), ისე – სუბიექტური წყობის ფორმებით („არამედ ვეცხლისა მისთჳს, რომელ სთქუ ვედრი გაბაელის თანა, ვითარ **ველ-ვინიფო** მოღებად?“ (S, 5:2 Titus) (იმნაიშვილი 1996, 543).

¹⁰ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218000 „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), 218000 “The Category of Modality in the Georgian Language”.

¹¹ დინამიკური მოდალური სემანტიკის შესახებ იხ. მ. ლამბაშიძე დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“ ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, 2017, გვ. 222-235.

ძალ-უც ზმნის პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-ი – „ძალა, შეძლება, ძლიერება“ (აბულაძე 1973, 523)), მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუბლექტურად აწარმოებს მწკრივებს (პირველ სერიაში – ცემა, მეორეში – დება). აღნიშნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება“,¹² შესაბამისად, **ძალ-უც** გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია“ (ძალ-დება – „ძლვა, შეძლება, ძლება, ჯელმნიფება, ფლობა“ (აბულაძე 1973, 523)).

დასახელებული რთული ზმნების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქცია. **ჯელ-ენიფების** და **ძალ-უც** რთული ზმნების დადასტურების შემთხვევაში სახარების რედაქციები უმეტესად სხვაობას არ ავლენენ:

„ნუ ჯელ-ენიფების ბრმასა ბრმისა წინაძღუანვად“ (ლ. 6:39 CDEFGHIK).¹³

„ვერ ჯელ-ენიფების მონაფე-ყოფად ჩემდა“ (ლ. 14:26 CDEFGHIK).

„ძალ-გიც განმედად ჩემდა“ (მარკ. 1.40 CDEFGHIK).

„ძალ-გიცა სასუმელი შესუმად?“ (მარკ. 10:38 XDEFGHIK).¹⁴

„ძალ-გიც განკურნებად ჩემდა“ (ლ. 5:12 CDEFGHIK)...

მხოლოდ ერთ შემთხვევაში დავადასტურეთ **ჯელ-ენიფების** და **ძალ-უც** რთული ზმნების მონაცვლეობა:

„ვიდრე იგი მე მივალ, შენ ვერ ჯელ-ენიფების მოსლვად ან, ხოლო მერმე მომდევედე მე“ (ი. 13:36 FG).

შდრ.: *„ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად ან, ხოლო მერმე მომდევედე მე“* (იქვე, DEHIK).¹⁵

¹² დება – «ქუან/ქონება», ყოფნა, განდება, «დავრდომა», დადება, ცემა, გდება (აბულაძე 1973:138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

¹³ ჯელ-ენიფებისა (C).

¹⁴ ძალ გიცა (X).

¹⁵ > (X C).

რედაქციულ სხვაობებზე დაკვირვება კარგად გვიჩვენებს რთული ზმნის რღვევის პროცესს ქართულ სამწერლობო ენაში, ასე მაგალითად, თავდაპირველად რთულ ზმნას ანაცვლებს სხვადასხვა ტიპის ანალიზური წარმოება:

„**ჯელ-მწიფების** განტევებად შენი“ (ი. 19.10 C).

„**ჯელმწიფებად** მაქუს განტევებად შენდა“ (იქვე, DEFGHIK).¹⁶

„ვის **ჯელ-ენიფების** მიტევებად ცოდვათა?“ (მარკ. 2:7 DEFGHIK).

„ვინ **შემძლებელ** არს მიტევებად ცოდვათა?“ (იქვე, C).

„უკუეთუ გინდეს, **ძალ-გიც** კეთილის-ყოფად მათა“ (მარკ. 14:7 DEFGHIK).

„რაჟამს გენებოს, **ჯელმწიფე ხართ** მათა კეთილისყოფად“ (იქვე, C).

„ვითარმედ **ძალ-მიც** ესე ყოფად?“ (მ. 9:28 DEFGHIK).

„ვითარმედ **შემძლებელ ვარ** ყოფად ესე?“ (იქვე, C).

წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ **ჯელ-ენიფების** და **ძალ-უც** რთულ ზმნებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით თავისუფალი ვარირებაა, რადგან გვაქვს შემთხვევები, როდესაც **ჯელ-ენიფების** რთულ ზმნას რედაქციულად ანაცვლებს **ძალ** სახელური ძირისაგან ნაწარმოები შედგენილი შემასმენელი, **შემძლებელ არს**. მეორე მხრივ, **ძალ-უც** ზმნას რთული ზმნის რღვევის პროცესში ენაცვლება **ჯელ-ენიფების** რთული ზმნისგან ნაწარმოები მიმლეობითა (**ჯელმწიფე**) და არს მეშველი ზმნით მიღებული შედგენილი შემასმენელი. ამ ზმნათა იდენტურ ფუნქციაზე მიუთითებს ისიც, რომ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც „ნეიტრალური“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა), ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ (შინაგანი ან შექცენილი უნარი ან ცოდნა) (პალმერი 1999, ვაიმანი 1996) მოდალური სემანტიკის გა-

¹⁶ აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის პერიფრასტული მოდელები რთულ ზმნათა მოშლის დანყებადმდეც არსებობდა და მათ პარალელურად გამოიყენებოდა ქართულ სამწერლობო ენაში.

მოხატვისას. მაგალითად, წინადადებაში: „ვის **ჯელ-ენიფების** მიტევებად ცოდვათა?“ (მარკ. 2:7 DEFGHIK), საუბარია შინაგან უნარზე, რომელიც ოთხთავის ჯრუჭპარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გადმოცემულია **ჯელ-ენიფების** რთული ზმნით, ხოლო ადიშის ოთხთავში **ძალ** სახელური ძირისაგან ნაწარმოები ანალიზური წარმოებით: „ვინ **შემძლებელ არს** მიტევებად ცოდვათა?“ (იქვე, C). მეორე მხრივ, ოთხთავის ჯრუჭ-პარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს **ძალ-გიც** რთული ზმნით გამოხატული შემდეგი კონტექსტი: „უკუეთუ გინდეს, **ძალ-გიც** კეთილის-ყოფად მათა“ (მარკ. 14:7 DEFGHIK), რომელშიც იგულისხმება გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა, ადიშის ოთხთავში კი ამ სემანტიკას გამოხატავს **ჯელმნიფე ხართ** ანალიზური კონსტრუქცია: „რაჟამს გენებოს, **ჯელმნიფე ხართ** მათა კეთილისყოფად“ (იქვე, C).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ანალიზური წარმოების თვალსაზრისით **ჯელ-ენიფების** რთულ ზმნას შედარებით ნაკლები ფორმები მოეპოვება (**ჯელმნიფებად მაქუს, ჯელმნიფე ხართ**), განსხვავებით **ძალ-უც** ზმნისაგან. ძველსა და საშუალ ქართულში ვადასტურებთ **ძალ-უც** რთული ზმნის ეკვივალენტურ შემდეგ ანალიზურ ფორმებს: **შემძლებელ არს, შესაძლო არს** (ჩემდა, შენდა, მისდა...), **შეძლებად აქუს, ძალი აქუს, ძალი მოეცა, ძალი შესწევდეს**:

შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად (ლ. 3:8 C).

„ხოლო ან, უკუეთუ **შემძლებელ ხარ** მკუდარსა აღდგინებად, პირველად დედად შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა **ვერ შემძლებელ ხარ** აღდგინებად, **ვერცა** ჩემდა **შემძლებელ ხარ** განყვანებად“ (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ. I 24:16 Titus).

შესაძლო არს ტიპის ანალიზური წარმოება ძველსა და საშუალ ქართულში დინამიკურ სემანტიკას გამოხატავდა ჩემდა, შენდა, მისდა... ტიპის ფორმებთან ერთად, რომლებშიც - და -თვის თანდებულის ეკვივალენტია. შესაბამისად, ამგვარ

კონტექსტებში იგულისხმებოდა: „ჩემთვის შესაძლებელია“, „შენთვის შესაძლებელია“, „მისთვის შესაძლებელია“ რაიმე მოქმედების შესრულება:

„**არ-შესაძლო არს ჩემდა** ესე, მამაო, რათა ვამსგავსო ფრასთა შენთა სიტყუანი“ (წყობილ. 268:16 Titus).

„მამაო... უკუეთუ **შესაძლო თქუწნდა იყოს**, ნუ დაჰმთებით მიუსლველ იერუსალიმსა და თაყუანისუცემელ წმიდისა საფლავისა...“ (გ. ავალ., მგზავრ. 71:28 Titus).

საშუალ ქართულში გვხვდება **ძალ** სახელური ძირისაგან ნაწარმოები სხვა ანალიზური ფორმებიც, ასე მაგალითად:

„თუ **შეძლება გაქუს**, მიმართე, შენ ჯმლითა დაექადია“ (შაჰნ. 124:67 Titus).

რამეთუ მოინია ლმოზაჲ მშობისა, ხოლო **ძალი არა აქუს** შობად (B 37:3 Titus).

„რა ლახტის ხმა გავიგე, მე ჰყენუსარ ჯადო მეგონა, მივწვდი, ღმერთმან **ძალი მომცა**, შევიპყარ და მოვკალ“ (ქარამ. 664:10 Titus).

სამთა საქმეთა არ უნდა შეეზას კაცი, თუცა ბედნიერობისა **ძალი არა შესწევდეს** (ქილ. და დამ. 304:19 Titus).

ამრიგად, შესაძლებლობის სემანტიკის ანალიზურად გამოხატვისას ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა როგორც რთული ზმნები, ისე – სხვადასხვა ტიპის ანალიზური წარმოება.

მსგავსი ტიპის ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე 1964, 162). ამ მხრივ საინტერესოა განსხვავება **ჯელ-ენიფების** და **ძალ-უც** რთულ ზმნებს შორის. აღსანიშნავია, რომ **ჯელ-ენიფების** ფორმას ქართულ სამწერლობო ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სინთეზური ფორმა არ ეძებნება, მართალია, საშუალ ქართულის ძველებში დასტურდება **ჯელმნიფობს** სინთეზური ზმნა (**ჯელ-ენიფების>ჯელ-მნიფე>ჯელმნიფობს**), მაგრამ ეს ფორმა შესაძლებლობის სემანტიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შინაარსს გულის-

ხმობს, **ჯელმნიფობს** ნიშნავს: მეფობს, განაგებს, მართავს. ცხადია, ამ ზმნაში მოიაზრება შეძლებისა და უფლების ქონა, მაგრამ **ჯელმნიფობს** ზმნის უშუალო სინონიმური შესატყვისი არ არის შეუძლია ფორმა, რომელიც ძველ ქართულშივე განვითარდა **ძალ-უც** ზმნის სინთეზურ შესატყვისად.

ანალიზურ ფორმებს დაახლოებით IX საუკუნიდან ენაცვლება სინთეზური **უძლავს** ზმნა (სარჯველაძე 1984, 410). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, ანალიზური და სინთეზური წარმოებისას, საქმე გვაქვს **ძალ** სახელური ძირისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნასთან:

ხოლო მათ ჰრქუეს: „ძალ-გვც“ (მ. 20:22 XDEFGHIK)
გვძლავს (C).

„ძალ-გიცა სასუმელი შესუმად?“ (მარკ. 10:38 DEFGHIK)
გიძლავს (C).

დალათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი (ლ. 11:8 C) **არა ეძლოს** (DEFGHIK).

ძველ ქართულში სტატიკურ ზმნათა ერთ ჯგუფს ან-მყოს ფორმებში ზოგჯერ **-იან** დაბოლოება მოუდის: მრცხუენიან, მეშინიან, მიხარიან, შეუძლიან. ზ. სარჯველაძის აზრით, ამ ტიპის ზმნებთან ძველი ქართული ენის ნორმაა **-ის** დაბოლოებიანი ფორმები, მაგრამ **-იან** დაბოლოებიანი ზმნები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული X-XI საუკუნის ძეგლებში, პირველი მაგალითები კი ხანმეტ მრავალთავში (VIII ს.) დასტურდება (სარჯველაძე 1984, 410).

-იან დაბოლოებიანი **ძალ** ძირისაგან ნაწარმოები ზმნები დასტურდება სამივე ობიექტური პირის ფორმით, რომელიც ინვერსიულად სუბიექტს გამოხატავს. ამგვარი ფორმები გვხვდება X-XI საუკუნეებიდან და ხშირია საშუალო ქართულის ძეგლებშიც:

„რაც არ მითქვამს, მისი თქმა შემოძლიან“ (ქაიხ. 113:15 Titus).

„მე მონა ვარ შენი, შეგიძლიან ყოვლისა პატიჟისა მოპყრობა“ (ვისრ. 244:29 Titus).

ვინც ჭეშმარიტად მოიპოვა მონყალეზა ღვთისაგან, მას შეუნიშენელად **შეუძლიან** კეთილ-მყოფობა უძღურთა (იო. სინ. 413:25 Titus).

X საუკუნიდან სტატიკური ზმნები ანმყოში -ია დაბოლოებით გამოიყენებიან, მიუხედავად იმისა, რომ -იან დაბოლოებიანი ზმნები საშუალ ქართულშიც დასტურდება. ზ. სარჯველაძე „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალში“ იმონმებს ახლებური ფორმაციის **შეუძლია** ზმნის მაგალითებს: *სათნობათა მათთა არა მოაკლდებოდა, რომელთა ვერღარა ვის მოჯსენება მათი შეუძლია*, პარხლ. მრავალთ. 610ვ, 24-27ა; „ბუნებად შენი ლბილს არს და ვერ შეგიძლია ძმისა გარეშექცევა“, A-35 197 ვ, 18-20 (სარჯველაძე 1984, 413-414). ლ. ბარამიძე აღნიშნავს, „საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდიდანვე -ია დაბოლოებაზე გადადის ყოველნაირი სტატიკური ზმნა“ (ბარამიძე 2008, 34):

„ნამსაცა უშენო სიცოცხლე არ შემიძლია“ (ვისრ. 271:2 Titus).

„რა ვეშაპი იქს იმას, სხუასა სულიერსა არა შეუძლია, ესე ოლონდ დევი ყოფილა“ (შაჰნ. 246:25 Titus).

მასასადამე, დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ქართულ სამწერლობო ენაში X საუკუნიდან გვხვდება ობიექტური წყობის **შეუძლია** სინთეზური ზმნური ფორმა (სარჯველაძე 1984, 413). საშუალი ქართულიდან კი პარალელურად დასტურდება ძალ ძირისაგან ნანარმოები სუბიექტური წყობის **შეძლებს** ზმნის სინთეზური ფორმები.¹⁷ სხვა მოდალური ფორმებისაგან განსხვავებით **შეძლება** ზმნის არც ობიექტური და არც სუბიექტური წყობის ფორმებს არ განუცდიათ გრამატიკალიზაცია, არ ქცეულან ნაწილაკებად (შდრ.: ეგების>ეგებ, იქნების>იქნებ (შარაშენიძე 1999)). როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნის პირიანი ფორმები სემანტიკური თვალსაზრისით

¹⁷ აღსანიშნავია, რომ სუბიექტური წყობის **შეძლება** ზმნას მხოლოდ მყოფადის წრიდან მოეპოვება ფორმები, ანმყოს წრე აკლია.

გამოხატავდნენ და გამოხატავენ „ნეიტრალურ“ და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ მოდალურ სემანტიკას როგორც დადებითი, ისე – ურყოფითი კონოტაციით.¹⁸

„სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკის ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნა:

„კლდოვან ღირღატთა ადგილთა, ვის **შეუძლია** ბაღება“ (არჩ. 172:18 Titus).

„მე ბერი დიაცი ვარ და ვლა **აღარა შემიძლია**“ (ამირან. 8:363 Titus).

„ოოჰ, ნეტა **შეეძლოს** თეიმურაზს ქვის ზიდვა, აგურის ზელვა...“ (ჯავ. GNC).

„არც მე **შემძლება** ყოველივე გამენირა სიყვარულისთვის“ (გამს. GNC).

„ნეიტრალური“ სემანტიკის ობიექტური წყობის **შეძლება** ზმნა:

იგი **არ შემიძლია**, რომ მისი წიგნი კარში გამოვიტანო და შენ ხელმწიფის ხალვათხანაში ვერ დაგსვამო (რუსუდ. 9:1 Titus).

„ჩემნი პატრონნი ხართ, რაცა გნადიან ჩემზედა, ყუელა **შეგიძლია**“ (ვისრ. 105:11 Titus).

ციხესიმაგრეები არ ჰფარავდა მათ და **არც შეეძლოთ** წინასწარ სცოდნოდათ ის ადგილი ან დრო, სადაც ქართველნი ეკვეთებოდნენ (ბარნ. GNC).

გლესთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, **შეეძლოთ** ყმების ყოლა (ჭავჭ. GNC).

მიუხედავად აღნიშნული ფორმების დომინანტურობისა, საგულისხმოა, რომ მოდალური სემანტიკის მქონე რთული ზმნები (**ხელენიფება**, **ძალუძს**) ზოგჯერ ახალსა და თანამედ-

¹⁸ მ. ლამბაშიძე, „შეუძლია მოდალური ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ქართულ სალიტერატურო ენაში“, ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 2017, კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218000 „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), 218000 “The Category of Modality in the Georgian Language”.

როვე ქართულშიც გვხვდება შესაძლებლობის სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში:

„ბედნიერი ხარ, რომ **ძალგის**, ცხრამეტი წლისად გარდაისახო“ (ამირეჯ. GNC).

„ეს ჭაღარა სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს, მაგრამ ღონის ნახმარება **აღარ ძალუძს** მუხლსა და მკლავს“ (წერეთ. GNC).

„ჩვენ გვწამს, რომ **ძალგვის** კრიზისიდან საქართველოს გამოყვანა“ (დილ. გაზ. GNC).

„ნახევარდაცვაშიც არანაკლები ეფექტურობით **ხელმე-ნიფება** თამაში“ (საქ. რესპ. GNC).

„მათი პრობლემების გადაჭრა ძლიერ ლიდერს უფრო **ხელენიფება**, ვიდრე დემოკრატიულ მთავრობას“ (24 საათი, GNC).

„ვინ არის დღეს მზად, იყოს ერის სამსახურში და ესმოდეს და **ხელენიფებოდეს** იმის კეთება, რაც ქვეყანაში არის გასაკეთებელი“ (რეზ. GNC).

ახალ ქართულში დასტურდება ასევე **შესაძლებლობა** სახელური კომპონენტითა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ზმნით მიღებული შემდეგი ტიპის ანალიზური წარმოების მაგალითები:

„ნებისმიერ მომხმარებელს **შესაძლებლობა აქვს**, ბიუროს სერვისით ისარგებლოს“ (საქ. რესპ. GNC).

„საპარლამენტო უმრავლესობას ბევრად უფრო იოლი და ბუნებრივი განვითარების **შესაძლებლობა ექნება**“ (საქ. რესპ. GNC).

„მაშინ **შესაძლებლობა მომეცა**, მივსაღმებოდი ჩვენს კახელ მეგობრებს“ (საქ. რესპ. GNC).

„ასევე ჩვენ ყველას უფრო მეტი **შესაძლებლობა მოგვეცეს**, რომ კარგზე ვიფიქროთ და არა – ცუდზე“ (რეზონ. GNC).

„თუ შეცდომები გვქონდა, ამის გასწორების **შესაძლებლობა გვეძლევა**“ (ახ. თაობა GNC).

„ახლა კი, რადგან საქმე გამომაცალეს ხელიდან, **შესაძლებლობა მეძლეოდა**, თავს დავსხმოდი მათ“ (ლიტ. პალიტ. GNC).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ანალიზური წარმოება სემანტიკურად ყოველთვის „ნეიტრალურ“ დინამიკურ მოდალურ სემანტიკას გამოხატავს, რადგან **შესაძლებლობა აქვს, ექნება, მიეცა**, ეძლევა ტიპის შესიტყვებები შინაარსობრივად გულისხმობს გარემო ფაქტორების ხელშეწყობით დასაშვებ, შესაძლებელ მოქმედებას და არ მიუთითებს შინაგან თუ შედენილ ცოდნასა და უნარზე. რასაც ვერ ვიტყვით **უნარი აქვს, უნარი შესწევს**¹⁹ ტიპის ანალიზურ ფორმებზე,²⁰ რომლებიც მხოლოდ „სუბიექტზე ორიენტირებულ“ დინამიკურ სემანტიკას გამოხატავენ (უნარი – 1. შესაძლებლობა; მოხერხება, სიმარჯვე, შნო; 2. იგივეა, რაც ნიჭი; 3. რაიმე შინაგანი (თანდაყოლილი) თვისება (ქეგლი)). ამგვარი ფორმები საშუალებას ქართულში იძვიათად გვხვდება, ახალ ქართულში კი საკმაოდ გავრცელებულ შესიტყვებებს წარმოადგენს:

„ყოველი სევდის ატანისა **მაქვს მე უნარი**, ოღონდაც მეფის დროშა იყოს გაუხუნარი“ (ნიზამ. 15:71 Titus).

„ვისაც ობიექტური ანალიზის **უნარი აქვს**, მას არ გაუჭირდება შესაბამისი დასკვნების გამოტანა“ (საქ. რესპ. GNC).

„ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის და **უნარი შეგვწევს** მეტოქეს ბევრი პრობლემა შევუქმნათ“ (24 საათი GNC).

„ნელ-ნელა წასულიყო ის თაობა, რომელსაც **აღარ შესწევდა უნარი** სიახლის აღქმისა“ (ახ. თაობა GNC).

როდესაც ქართულ ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებებზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ აგრეთვე **ხერხ** ძირისაგან ნაწარმოებ რამდენიმე ნასახელარ ზმნაზე: **უხერხდება, ეხერხება, ახერხებს**.

უხერხდება გარდაუვალი ობიექტური ნყოფის ნასახელარი ზმნაა, რომელიც ძველსა და საშუალო სამწერლობო ქართულში არ დასტურდება, ახალ ქართულში კი ის მხოლოდ

¹⁹ **უნარი შესწევს** ტიპის აღწერითი წარმოება საშუალო ქართული ენის ძველში ვერ დავადასტურეთ.

²⁰ იხ. ზემოთ. იგივეა, რაც **ძალი შესწევს, ძალი აქვს**.

„ნეიტრალური“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველად გვევლინება:

„ინგლისი კი ეტანება მის განაწილებას და დარღვევას, თუმცა როგორცაც ვერ უხერხდება, რადგანაც რუსეთი უარზეა“ (ჭავჭავ. GNC).

„იმ დღეს ბავშვის გაგზავნა ვერ მომიხერხდა, მეორე დღით კი ქალაქი შეაშფოთა ამბავმა“ (საქ. რესპ. GNC).

„სხვა სასწავლებლისათვის ამზადოს ყმანვილები და მერე თუ ეს ვერ მოუხერხდა, ყმანვილს აკმაროს პროგიმნაზიის კურსი“ (ჭავჭავ. GNC).

ეხერხებაც გარდაუვალი ობიექტური წყობის ნასახელარი ზმნაა, რომელიც საშუალ ქართულში იშვიათად გვხვდება, ახალ ქართულში კი საკმაოდ ხშირად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნას მხოლოდ ანმეოს წრის მწკრივები მოეპოვება (ქეგლი). **უხერხდება** ზმნისაგან განსხვავებით **ეხერხება** მხოლოდ „სუბიექტზე ორიენტირებულ“ დინამიკურ სემანტიკას გამოხატავს:

ცხენზე შეჯდომა იმას ისე **ეხერხებოდა**, ათ ნაბიჯიდან უნაგირზე შეახტებოდა (ნიზამ. 70:249 Titus).

ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ **ეხერხება** (ლორთქ. GNC).

„ცოტა რომ წამოვიზარდე, საოჯახო საქმეებითაც დავინტერესდი. არაჩვეულებრივად **მეხერხებოდა** საქმეების კეთება“ (24 საათი GNC).

„ტყუილის თქმაც კარგად უნდა **გეხერხებოდეს**, სიმართლისაც და დაპირების შესრულებაც უნდა იცოდე“ (ხვალინდ. დღე GNC).

რაც შეეხება გარდამავალ სუბიექტური წყობის **ახერხებს** ზმნას, საშუალ ქართულში მისი გამოყენების შემთხვევებიც იშვიათია, ახალ ქართულში კი მისი მაგალითები მრავლადაა. აღნიშნული ზმნა ინტერესს იწვევს იმიტომ, რომ ის გამოხატავს როგორც „ნეიტრალურ“, ისე – „სუბიექტზე ორიენტირებულ“ შესაძლებლობას:

„ნეიტრალური“ სემანტიკა:

გულითაც რომ უნდოდეს დღევანდელ გლეხს, მაინც ვერ ახერხებს ზრდილობიან სიტყვა-პასუხს (წერეთ. GNC).

„არ მესმის, როგორ და სად ახერხებს ამოდენა ხალხის გაცნობას“ (ჯავ. GNC).

„მაშ როგორღა მოახერხა დამპატიყემ ბალის დაჩემება?“ (ჯავ. GNC).

„სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკა:

„როგორც თვალთმაქცი საიდუმლო თამაშს ახერხებს, მეც შიგ ფარდაში ვით თოჯინა ხტომას დავინყებ“ (ნიზამ. 106:358 Titus).

ავადმყოფი ლოგინში გადაბრუნებასაც კი ვერ ახერხებდა. – ხმის ამოდებას ველარ ახერხებდა (არაგვ. GNC).

ის ბიჭი ისე გამომტერებული იყო, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა (წერეთ. GNC).

დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას; ორჯერ-სამჯერ საჩეჩლის ჩხირები მეჩხვლიტა (წერეთ. GNC).

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ სამწერლობო ენაში დინამიკური, შესაძლებლობის სემანტიკის გამოცემა ძალ, ჳელ/ხელ, უნარ, ხერხ ფუძეებისგან ნაწარმოებ ანალიზურ და სინთეზურ ფორმებთანაა დაკავშირებული. საშუალო ქართულიდან მოყოლებული დღემდე დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამომხატველ ძირითად საშუალებად ქართულ ენაში გამოიყენება ობიექტური და სუბიექტური წყობის შეძლება ზმნის სინთეზური ფორმები, ახალი ქართულიდან ასევე ხშირი გამოყენებისაა სუბიექტური წყობის ახერხებს ზმნა, რომლის პარალელურადაც იხმარება ობიექტური წყობის უხერხდება და ეხერხება ზმნათა ფორმები. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ახალსა და თანამედროვე ქართულში დინამიკურ სემანტიკას გამომხატავს რთული ზმნები (ხელენიფება, ძალუძს). ცხადია, დღეს ამ ფორმათა გამოყენებას მათი არქაული ელფერის გამო სისტემური ხასიათი არ აქვს, ამიტომ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ძირითად საშუალებად ახალ ქართულში მაინც ზმნის სინთეზური წარმოების ფორმები გვესახება.

თავი 3.

„ვერ“ მოდალური ფორმით გამოხატული სახელური და ზმნური უარყოფა ქართულში

უარყოფა არის უნივერსალური კატეგორია, რომელიც ინტენსიური შესწავლის საგანი იყო უძველესი დროიდან ფილოსოფოსების, ლოგიკოსების და ლინგვისტების მიერ. მოდალობის კვლევა შედარებით ახალია ქართულ ენაში, რომელშიც მოდალობისა და უარყოფის კვეთა თვალსაჩინოდ არის დაკავშირებული „ვერ“ ნაწილაკთან. „ვერ“ ნაწილაკი უარყოფის მანარმოებელ ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება, რომელსაც ამავდროულად მოდალური მნიშვნელობაც გააჩნია. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის თანახმად, „ვერ“ ნაწილაკი-მორფემოიდი გამოხატავს რისამე უარყოფას, მაგრამ განსხვავებით „არ“ მორფემოიდისაგან, „ვერ“ გამოხატავს შეუძლებლობას და არა კატეგორიულ უარყოფას (ბ. ჯორბენაძე... 1988, 167).

უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს: (1) მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრის სურვილისა და შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენელის უარყოფა. (2) იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. „ვერ“ ნაწილაკის რთული ვარიანტებია: ველარა, ვერც, ველარც. „ველარ“ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას; ნაწილაკი „ვერც“ ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რომელთანაც დგას; ნაწილაკი „ველარც“ გვაჩვენებს შეუძლებლობის ზღვარს და ამასთანავე, აქცენტირებას ახდენს იმ სიტყვაზე, რომელსაც მიეკუთვნება. (შერაზადიშვილი, 2003)

მოდლობა-უარყოფის გამომხატველი ნაწილაკით „ვერ“ ინარმოება კუთვნილებითი ზედსართავი სახელები, უარყოფით ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები (სულიერი და უსულოს აღმნიშვნელი):

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	შესაძლებლობა
		ვერ(ა)
სულიერი	- ვინ	ვერავისი
უსულო	- ფერი	ვერაფრის

მოდალობა-უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი „ვერ“ აწარმოებს უარყოფით ნაცვალსახელებს:

კატეგორია	ნაწილაკი	შესაძლებლობა
		ვერ(ა)
სულიერი	- ვინ	ვერავინ
უსულო	- ფერი	ვერფერი
ხარისხი	- ვითარი	ვერავითარი
რაოდენობა	- ც ერთი	ვერც ერთი

მოდალობა-უარყოფის გამომხატველი „ვერ“ ნაწილაკისა და სხვადასხვა დაბოლოებების კომბინაციით ასევე იწარმოება უარყოფითი ზმნიზედები. სუფიქსი „-სად“ არის კითხვით ზმნიზედა, „-ოდეს“ – არქაული შედარებითი ზმნიზედა, „-დროს“ – არსებითი სახელის, („დრო“ – მიცემითი ბრუნვა), ხოლო „-გზით“ – არსებითი სახელის, „გზა“ – მოქმედებითი ბრუნვა.

კატეგორია	უარყოფითი ნაწილაკი	-სად	-ოდეს	-ს-დროს	-გზის
შესაძლებლობა	ვერ(ა)	ვერსად	ვერასოდეს	ვერას-დროს	ვერას-გზით

რაც შეეხება „კი“ და „ც“ ნაწილაკების ფუნქციებს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი, ძირითადად, განი-

ხილება მტკიცებით კონტექსტში. მათი ფუნქციები უარყოფით კონტექსტში არ არის შესწავლილი. ლიტერატურაში ისინი განხილულია მხოლოდ ზმნებთან მიმართებით (შანიძე 1973, 610-613; ჯორბენაძე... 1984, 140-141).

ნაწილაკები ხშირად გამოხატავენ კონტექსტუალური მნიშვნელობის ნიუანსებს და ადრესატის დამოკიდებულებას გამოთქმული მოსაზრების მიმართ. შესაბამისად, მათ მნიშვნელოვანი პრაგმატული დატვირთვა აქვთ, გამოხატავენ ილოკუციურ ძალას (ადრესატის ინტენციას), აძლიერებენ ან ასუსტებენ მას.

სტატიაში განხილულია „ც“, „კი“ და „ვერ“ ნაწილაკების კომბინაციური ფორმები: ვერც, ვერც კი, კი ვერც. „ც“ ნაწილაკი შეიძლება დაერთოს სახელს, ზმნას, ზმნიზედას და ნაწილაკსაც (ვერ-ც). „კი“ ნაწილაკი კი დამოუკიდებლად დგას.

მოდალობა-უარყოფის „ვერ“ ნაწილაკთან ასევე ასოცირებულია „ღ“ ნაწილაკი, რომელიც სიტყვას მატებს ზღვრული უარყოფის ფუნქციას.

გარდა ამისა, „ვერ“ ნაწილაკ-მორფემოიდთან კომბინაციაში ხშირად გვხვდება სხვა ნაწილაკები და ლექსიკური ერთეულები. ასეთი ნაწილაკებია: „აკი“, „ხომ“, „განა“ სხვადასხვა კომბინაციით.

„ვერ“ ნაწილაკი გვხვდება მხოლოდ თხრობითსა და კავშირებით კილოებში და არ გამოიყენება ბრძანებით კილოში, გამოხატავს შეუძლებლობას: ვერ აკეთებს, ვერ აკეთებდა, ვერ აკეთებდეს... ვერ გააკეთა... ვერ გაუკეთებია, ვერ გაეკეთებინა... შესაბამისად, ის კოლოკაციებს ქმნის მხოლოდ ზმნებთან (ჯორბენაძე 1984, 140).

ვინაიდან „ვერ“ გამოხატავს შესაძლებლობის შეზღუდვას, იგი არასოდეს არ გამოიყენება ბრძანებით კილოსთან. სხვა კილოს ფორმებთან იგი დაუბრკოლებლად გამოიყენება (შარაშენიძე 2015, 225).

„ვერ“ ნაწილაკი არ გამოიყენება გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნებთან: სწყურია, სტკივა, უყვარს, იცის, ესმის, უნდა... ედიდება, ეჭმევა, ემღერება... ასევე არ გამოიყენება მყოფობის, მქონებლობისა და ზოგი სხვა ფუნქციის გამომ-

ხატველ სტატიკურ ზმნებთან: არის, აქვს, ჰყავს, სწერია, ას-
ხია, აბადია, გააჩნია... თუმცა შესაძლებელია გამოყენებული
იყოს ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებთან. ასეთ შემთხვევაში ხდება
რაიმე ფაქტის დაზუსტება, რაც შესაბამისი ვითარებითი სიტყ-
ვით აღინიშნება: „ისე ვერ არის, როგორც საჭიროა“, „კარ-
გად ვერა აქვს საქმე“.

იშვიათად „ვერ“ ნაწილაკი ამ პირობის გარეშეც შეიძლე-
ბა იქნეს გამოყენებული:

„ზამთარში როცა ჩვენი ფეხბურთელები ამკარად ვერ
არიან ფორმაში, თბილისელ ფეხბურთელებს დაუგეგმეს თა-
მაში იტალიაში. (ჯორბენაძე 1984, 140-141)

„ვერც“ ნაწილაკი გამოიყენება როგორც ზმნასთან, ასე-
ვე არსებით სახელთან კოლოკაციაში და გამომხატავს რო-
გორც ზმნურ, ასევე სახელურ უარყოფას:

**ვერც ამ სიტყვებმა მოიყვანეს თავის გონზედ გამწარებუ-
ლი სუტ-კნეინა (GNC).**

**“შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი! ლუარსაბმა
ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო” (GNC).**

**“ამ დროს, სწორედ ამ დროს, სცხოვრობდა კახეთში
ახმეტის მებატონე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბუნებისაგან უნაკ-
ლოდ შემკული, რომლის გულიც ვერაფრით ვერ მოიგეს თათ-
რებმა, ვერც რისხვითა და ვერც წყალობით” (GNC).**

**“ამას ისეთი გულმოსულობით ამბობდა, რომ ვერც
თვითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი
ველარ შეიკავეს” (GNC).**

„ვერც“ ამ შემთხვევებში აკეთებს არსებითი სახელების
მარკირებას და მის უარყოფას. ბოლო ორ მაგალითში ადგი-
ლი აქვს ორმაგ მარკირებას.

„ვერც“ ნაწილაკი ზმნასთან კომბინაციაში გამომხატავს
კატეგორიულობას მოქმედების შესრულების შეუძლებლობაში.

... **“რომ პირველ ხანებში ქეთო ვერც იცნობდა თავის მა-
მასა და მწუხარე იქებოდა, ამის ფიქრი ჰქონდა ზურაბსა”**
(GNC).

ამავდროულად ქმნის მოქმედებების იმპლიციტურ შკალას, რომელთა შორის დასახელებული ქმედება არის მინიმალურად შესაძლებელი/მოსალოდნელი ქმედების უარყოფა.

იცნობდა ... მიესალმებიდა ... აკოცებდა ... გადაეხვეოდა ...

„ვერც“ ნაწილაკი არსებითი სახელის მარკირებისას ქმნის არსებითი სახელების იმპლიციტურ შკალას და გამოხატავს ყველაზე შესაძლებელი ვარიანტის უარყოფას.

“აქ რომ ვყოფილიყავი, ვერც მე ვუშველიდი” (GNC).

“ვერც მე ვცნობდი ჩემს თავს და ველარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა” (GNC).

მე ... ცოლ-შვილი ... მეგობარი ... მეზობელი ... ნაცნობი

მოცემული ჩამონათვალიდან საკუთარი თავი „მე“ არის ყველაზე შესაძლო ვარიანტი საკუთარი თავის შესაცნობად.

„კი“ ნაწილაკი „ვერც“ ნაწილაკთან კონტექსტში შეიძლება გამოხატავდეს გაძლიერებით და დამაპირისპირებელ ფუნქციებს. გარდა ამისა, **ვერც** და **კი** ნაწილაკების კომბინაციაში „კი“ ნაწილაკი აკეთებს ისეთი რამის მარკირებას, რისი დაშვების პრესუპოზიციაც არსებობს კონტექსტში:

„ვერც კი გაიაზრა ამის აუცილებლობა“ „verc ki gaiazra amis aucilebloba“ (saub.).

ამ ფრაზაში გადმოცემულია მოლოდინი, რომ მინიმალური შესაძლო ქმედება იყო გააზრება და ისიც ვერ მოახერხა, არა თუ გაიგო..., გაითალისწინა..., გამოიყენა..., განახორციელა... და ა.შ.

„ღირსების თაყვანისცემას“ ვილა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გეველებოდა” (GNC).

აქ გამოხატულია „ღირსების თაყვანისცემასა“ და „მიუხვდა სიყვარულს“ შორის შკალაზე არსებული შესაძლო ქმედებების უარყოფა.

თაყვანისცემა (ღირსების) ... პატივისცემა ... დაფასება ... რეაგირების გარეშე დატოვება ... მიუხვდა (სიყვარულს)

უარყოფილია მინიმალური მოსალოდნელი ერთეული – „მიუხვდა სიყვარულს“. „კი“ და „ვერც“ ნაწილაკთს კომბი-

ნაციაში პრეპოზიციურად წარმოდგენილი „კი“ ნაწილაკი ახდენს ერთი წევრის მარკირებას, ხოლო „ვერც“ ნაწილაკი მიემართება მეორე, სხვა წევრისკენ და გამოხატავს ქმედების შეუსრულებლობას.

“ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ” (GNC).

„კი“ აკეთებს პირველი სახელის „ნაკეთების“ მარკირებას, „ვერც“ – მეორე სახელის „მე“ მარკირებასა და „მოგიწონებ“ ზმნის უარყოფას.

თვითონ დიდ გამოცდილად მოჰქონდა თავი, მაგრამ ერთ რამეში კი ვერც იმან გამოიჩინა დიდი გამოცდილება. (ჩემი თავგადასავალი)

სინტაქსის დონეზე ქართულში უარყოფით წინადადებად ითვლება ყველა წინადადება, რომელშიც გვხვდება უარყოფითი სიტყვა (უარყოფის მარკერი).

დისკურსის დონეზე ნეგაცია, რა თქმა უნდა, გულისხმობს უარყოფითი მარკერის გამოყენებას, მაგრამ გვხვდება ფრაზები და გამონათქვამები, რომლებშიც არ არის უარყოფითი მარკერი, მაგრამ გამონათქვამს უარყოფითი კონოტაცია გააჩნია (იმპლიციტური უარყოფა) და, გარდა ამისა, შეიძლება იყოს უარყოფითი მარკერი, მაგრამ ტექსტში არ იგულისხმებოდეს ნეგაცია (იმპლიციტური პოზიტივი).

„ვერ“ ნაწილაკით გამოხატული იმპლიციტური ნეგაციის მაგალითებია:

„თვარა ასვლით განა ჩვენ კი ვერ ავიდოდით? (GNC)

„ამას როგორ ვერ გავაკეთებ?!“ (საუბ.)

ორივე შემთხვევაში უარყოფით მარკერთან გვაქვს პოზიტიური კონოტაცია. იმპლიციტური პოზიტივი შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი კომბინაციებით: „ვერ + ზმნა“; „განა ვერ + ზმნა“.

„ვერც“ ნაწილაკი აკეთებს არსებითი სახელისა და ზმნის მარკირებას და აწარმოებს სახელურ და ზმნურ უარყოფას. „ვერც“ ნაწილაკის საუალებით ხშირად გვხვდება ორმაგი სახელური მარკირება და უარყოფის წარმოება.

„ვერც“ ნაწილაკი ქმნის იმპლიციტურ შკალას კონტექსტუალურად შესაძლო პრედიკატებით. ზმნური უარყოფის

შემთხვევაში ხდება მინიმალურად შესაძლებელი/მოსალოდნელი ქმედების უარყოფა, ხოლო სახელური უარყოფის შემთხვევაში ხდება ყველაზე შესაძლო ვარიანტის უარყოფა.

„ვერც“ და „კი“ ნაწილაკების კომბინაციის შემთხვევაში „ვერც“ ნაწილაკის პრეპოზიციისას „კი“ ნაწილაკი ახდენს ისეთი რამის მარკირებას, რისი დაშვების პრესუპოზიციაც არსებობს კონტექსტუალურად. „კი“ ნაწილაკით უარყოფილია მინიმალური შესაძლო ქმედება, რომლის პრესუპოზიციაც არსებობს.

„კი“ ნაწილაკის პრეპოზიციის შემთხვევაში ის ახდენს პირველი სახელის მარკირებას, „ვერც“ – მეორე სახელის მარკირებასა და ქმედების უარყოფას.

დისკურსის დონეზე უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, ისევე როგორც „არ“ ნაწილაკი, ქმნის იმპლიციტურ პოზიტივს.

თავი 4. მოდულობა და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ქართულში

ქართულში კითხვითი ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მწყობრ სისტემას ქმნიან – თითოეულ კითხვით ნაცვალსახელს დაერთვის როგორც -**მე**, ისე -**ლაც** ნაწილაკი. ორივე ნაწილაკის დაერთვისას მიიღება ერთი ტიპის, დაახლოებით ერთი მნიშვნელობის მქონე ფორმები, რომლებშიც განუსაზღვრელობის სემანტიკაა მთავარი.

კითხვითი ნაცვალსახელები	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები	
	-მე	-ლაც
ვინ რა სად რომელი როგორი რამდენი	ვინმე რამე სადმე რომელიმე როგორმე რამდენიმე	ვილაც რალაც სადლაც რომელილაც როგორლაც რამდენილაც

ქართული ენის ლექსიკონები ამ ფორმებს განმარტებისას არ განასხვავებენ.

	ქეგლ	ქართული ლექსიკონი
ვინმე	განუსაზღვრელობის -მე ნაწილაკდართული ვინ, – რომელიმე, რომელილაც (ადამიანი), ვინ გინდა ადამიანი (საპირისპ. რამე)	ნაცვ. რომელილაც ადამიანი, განუსაზღვრელი პირი.
ვილაც(ა)	განუსაზღვ. ნაცვალსახ. -ც(ა) ნაწილაკდართული ვილა, – რომელილაც ადამიანი, უცნობი პიროვნება, ვინმე (საპირისპ. რალაც(ა)).	ნაცვ. რომელილაც ადამიანი, განუსაზღვრელი ვინმე.
რამე	ნაცვალსახ. განუსაზღვრელობის -მე -ნაწილაკდართული რა, – რალაც ნივთი, მოვლენა, ცხოველი ან	ნაცვ. რალაც საგანი, მოვლენა და მისთ. (ყველაფერი გარდა ადამიანისა).

	სხვა რამ (არაადამიანი). საპირისპ. ვინმე.	
რალაც(ა)	განუსაზღვ. ნაცვალსახ. - ც(ა) ნაწილაკდართული რალა, – რომელილაც საგა- ნი ან ცოცხალი არსება (გარდა ადამიანისა), უც- ნობი რამ, – რამე.	1.ნაცვ. რალაცა. რალაც უნდა. 2.ნაწილაკ. თით- ქოს, რატომლაც. რალაც ვერ მუშაობს, რალაც გული სწყდება.
სადმე	ზმნს. განუსაზღვრელობის -მე -ნაწილაკდართული სად. 1. რომელსამე ადგი- ლას. 2. იგივეა, რაც სად- ლაც.	ზმნიზ. რომელიმე ადგი- ლას.
სადლაც(ა)	განუსაზღვ. ზმნის. -ც(ა) ნაწილაკდართული სადლა, რომელილაც ადგილას. რომელილაც მიმართულე- ბით.	ზმნიზ. რომელილაც ად- გილას.
რომელი- მე	განუსაზღვრელობითი ნაც- ვალსახ. -მე-ნაწილაკდარ- თული რომელი, – ერთ- ერთი მრავალთაგანი.	ნაცვ. განუსაზღვრელი, მრავლიდან ერთი.
რომელი- ლაც	-----	ნაცვ. გაურკვეველი, გა- ნუსაზღვრელი, რომელი- მე.
როგორმე	ზმნს. განუსაზღვრელობის - მე-ნაწილაკდართული რო- გორ, – რაიმე, გზით, რაიმე საშუალებით, რამენაირად.	ზმნზ. რაიმე საშუალე- ბით, რამენაირად.
როგორ- ლაც	ზმნს. -ც(ა)-ნაწილაკდარ- თული როგორლა, რალაც- ნაირად.	ზმნზ. რალაც გზით, რა- მენაირად, რალაცნაი- რად.
რამდენი- მე	ნაცვალსახ. განუსაზღვრე- ლობის -მე-ნაწილაკდარ- თული რამდენი, – მცირე რაოდენობისა, არაბევრი.	ერთზე მეტი, მცირე რა- ოდენობისა.
რამდენი- ლაც	-----	-----

განსხვავება არც თარგმნით ლექსიკონებში ჩანს. ზოგჯერ ორივე ფორმა მოყვანილია სინონიმურ განმარტებებად, ზოგჯერ კი ისინი ერთმანეთს განმარტავენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ სურათს არც ორენოვანი ლექსიკონები იძლევიან. (<https://translate.google.com/> ; <http://dictionary.ge/>)

-მე და **-ლაც** ნაწილაკებიანი ფორმების სემანტიკა არაა გამიჯნული არც სამეცნიერო ლიტერატურაში. ა. შანიძე მას განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში და ნაწილაკების განალიზებისას განიხილავს, მაგრამ არც ერთგან მისი სემანტიკის შესახებ არაა მსჯელობა (შანიძე 1980). მხოლოდ ბრუნების საკითხს ეხება სტატია კრებულში „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (ნორმები 1986).

ხსენებული მანარმოებლები, რა თქმა უნდა, შესულია „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“, მაგრამ ამ ფორმების სემანტიკა არც აქაა გამოყოფილი ცალ-ცალკე. ამ ნაწილაკების შესახებ აღნიშნულია: **-მე** ნაწილაკ-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის კითხვით ნაცვალსახელს ან კითხვით ზმნისართს და აქცევს მას განუსაზღვრელ ნაცვალსახელად ან ზმნისართად. ვინ-მე, რა-მე, როგორი-მე, რომელი-მე... სად-მე, საიდან-მე, როგორ-მე... (ძველი ქართული: ითხოვდა რას-მე მისგან“; (მორფ. ლექს. 1988, 290); **-ლა-ცა** – რთული ნაწილაკ-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნისართებს და აწარმოებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს: ვი(ნ)-ლა-ც(ა), რა-ლა-ც(ა), რომელი-ლა-ც(ა), სად-ლა-ც(ა)... დიალექტებში (უპირატესად, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: გურულში, აჭარულში, ქვემოიმერულში) ხსენებულ ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს ჯერ ერთვის -ც(ა), შემდეგ -ლა: *ვინ-ც-ლა, *რა-ც-ლა, *სა-ც-ლა, რაც ფონეტიკური ცვლილებით იძლევა ფორმებს: ვინცხა, რაცხა, საცხა... **შენიშვნა:** ხშირად გამოიყენება ბოლოკიდური -ა-ს მოკვეციით: ვი-ლა-ცა>ვილაც, სად-ლა-ცა>სადლაც... (მორფ. ლექს. 1988, 417).

-მე და **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმები გარკვეულ სისტემას ქმნის. ამდენად, მათ შორის აბსოლუტური სინონიმია ვერ იქნება, რადგან ერთი და იმავე სემანტიკისათვის ენა ორგვარ წარ-

მოებას არ დაამკვიდრებდა. მოსალოდნელია, რომ ამ ფორმებს შორის თუნდაც ნიუანსობრივი სემანტიკური სხვაობა იყოს.

ის სემანტიკური ნიუანსი, რომელიც სისტემურად განასხვავებს ამ ფორმებს, უნდა იყოს **ნაცნობი და უცნობი სიმრავლის** გამოკვეთა. განმსაზღვრელია **მთქმელი** და მისი ხედვა: - **მე** ნაწილაკიანი ფორმები **ნაცნობი სიმრავლის** გამოკვეთას ახდენს, ხოლო **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმებით აღინიშნება მთქმელისთვის **უცნობი სიმრავლე**.

განვიხილოთ რამდენიმე კონტექსტი:

(1)სადმე წავიდე. – ეს ფრაზა ნიშნავს, რომ ადგილი განუსაზღვრელია, დაუკონკრეტებელია, მაგრამ მთქმელისთვის ის მაინც წარმოადგენს ნაცნობ სიმრავლეს: ანუ გულისხმობს კონტროლს მთქმელის პოზიციიდან. შეიძლება ეს იყოს შემოსაზღვრული სიმრავლე (მაგალითად, გასართობი ადგილები, კვებისა თუ თავშეყრის ადგილები და ასე შემდეგ), ან სხვა მისთვის ნაცნობი ადგილი. ამ განუსაზღვრელი ადგილებიდან მთქმელი ერთ-ერთის შერჩევას გულისხმობს. ესაა **განუსაზღვრელობა ნაცნობი სიმრავლის გამოკვეთით**.

(2)ნიკა სადლაც წავიდა. – ეს ფრაზა კი გულისხმობს, რომ ადგილი, სადაც წავიდა ობიექტი, მთქმელისთვის განუსაზღვრელია და ამასთანავე უცნობია, ანუ ის არის უცნობი სიმრავლის ნაწილი. ესაა **განუსაზღვრელობა უცნობი სიმრავლის გამოკვეთით**.

ამ დაპირისპირებას კარგად გამოავლენს წინადადება, რომელშიც ორივე ფორმა იქნება გამოყენებული. მაგალითისათვის განვიხილოთ ამგვარი კონტექსტი:

(3)გასალები სადლაც დავკარგე, ნახე, იქნებ სადმე მანდ იყოს, მოძებნე.

ამ წინადადებაში პირველი ფორმა **სადლაც** – მიუთითებს, რომ დაკარგვის ადგილი განუსაზღვრელია, მაგრამ ამავე დროს ის უცნობი სიმრავლის ნაწილია. წინადადების პირველი ნაწილის პერიფრაზი ამგვარად შეიძლება გადმოიცეს: არ ვიცი, არ მახსოვს, ჩემი ცნობიერებისათვის სრულიად უცნობია ის ადგილი, სადაც გასალები დავკარგე. ხოლო წინადადების მეორე ნაწილი კი **სადმე** ფორმის გამოყენებით ხაზს

უსვამს იმას, რომ შესაძლებელია ეს ადგილი ჩემთვის ნაცნობი სიმრავლის არეალში იყოს (მაგალითად, სახლში, აივანზე, რომელიმე ოთახში და ასე შემდეგ...). ამ სემანტიკის ინდიკატორად წინადადებაში ასევე გამოყენებულია „მანდ“ ზმნიზედა, რომელიც საზგასმით მიუთითებს ნაცნობ არეალს. მოცემულ კონტექსტში **ნაცნობი** და **უცნობი** სიმრავლის დაპირისპირების გამოკვეთა სწორედ **-მე** და **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმების გამოყენებით ხდება.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

1.სემანტიკური პერიფრაზი ანუ წინადადების გაშლა:

ნიმუში	პერიფრაზი
<i>როგორ მინდა, ვინმე მოვიდეს ახლა ჩემთან.</i>	სურვილი გულისხმობს ნაცნობი ადამიანების სიმრავლიდან ერთ-ერთს.
<i>გუშინ ჩემთან ვილაც მოსულა, ხომ არ იცი, ვინ იყო?</i>	ჩემთან მოსული ადამიანი ამ ეტაპზე წარმოადგენს პიროვნებას ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან. მომდევნო შეკითხვა სწორედ იმის დაკონკრეტებას ემსახურება, იყო ეს ადამიანი ნაცნობი თუ უცნობი სიმრავლიდან.
<i>ეს ქოლგა ვილაცას დარჩა აქ.</i>	ის, ვისაც ქოლგა დარჩა, არა მარტო განუსაზღვრელია, არამედ უცნობია, არის უცნობი სიმრავლიდან, ანუ არ ვიცი, ვის დარჩა.
<i>ეს ყაკეტი რთმელილაც მალაზიაში ვიყიდე, არ მახსოვს რომელში.</i>	მალაზია ჩემთვის უცნობი სიმრავლიდანაა ამ ეტაპზე, რადგან არ მახსოვს.

ჩვენი მოსაზრების შესამოწმებლად შესაძლებელია ჩანაცვლების მეთოდის გამოყენება. შესაძლებელია თუ არა **-მე** და **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმები თავისუფლად ჩაენაცვლოს ერთმანეთს? თუ ჩანაცვლება არ მოგვცემს ბუნებრივ კონტექსტს, მაშინ რა არის ამის ხელისშემშლელი?

2.ჩანაცვლება – შესაძლებელია თუ არა ამ ფორმების თავისუფალი ჩანაცვლება?

დასაშვები კონტექსტი	დაუშვებელი კონტექსტი
ვიღაც არის სახლში.	№ვინმე არის სახლში.№
სახლში მგონი ვიღაც არის.	№სახლში მგონი ვინმე არის.№
სადღაც წავიდნენ.	№სადმე წავიდნენ.№
ქუჩაში ვიღაც მღერის.	№ ქუჩაში ვინმე მღერის. №
ეზოში ვიღაც დადის.	№ეზოში ვინმე დადის.№
კაცი ვიღაცას მიესალმა.	№კაცი ვინმეს მიესალმა.№
გასაღები სადღაც დავკარგე.	№ქოლგა სადმე დავკარგე.№
სახეზე რაღაც გაქვს.	№სახეზე რამე გაქვს.№
ბიჭი უცებ სადღაც გაქრა.	№ბიჭი უცებ სადმე გაქრა. №
გოგოს რაღაც დაუნერია.	№გოგოს რამე დაუნერია. №
რომელიმე სტუდენტი გამოვიდეს დაფასთან. (ნაცნობი სიმრავლე).	№რომელიღაც სტუდენტი გამოვიდეს დაფასთან.№
„ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაილო მისი გონება.“ (ილია „გლახის ნაამბობი“)	№ამის შემდეგ რამე ფიქრმა წაილო მისი გონება.№
„ერთი რაღაც ქალაქი მოჰხვდა ხელში.“ (ილია „კაცია-ადამიანი?!”)	№ერთი რამე ქალაქი მოჰხვდა ხელში.№
„ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ხაჭაპური მოიტანა კლასში.“ (აკაკი „ჩემი თავგადასავალი“)	№ერთხელ რომელიმე მოსწავლემ ხაჭაპური მოიტანა კლასში.№
„ეს ბალის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდან გადმოელო კესოს.“ (ილია „ოთარაანთ ქვრივი“)	№ეს ბალის მოხაზულობა იყო და რომელიმე წიგნიდან გადმოელო კესოს.№
„არჩილს ამ სიტყვებისთვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა...“ (ილია „ოთარაანთ ქვრივი“)	№არჩილს ამ სიტყვებისთვის სადმე და როგორმე ყური მოეკრა...“ №

მოცემული კონტექსტებიდან აშკარაა, რომ **-მე/-ღაც** ნაწილაკიანი ფორმების თავისუფალი ჩანაცვლება შეუძლებელია. **-ღაც** ნაწილაკიან ფორმებში აშკარად ჩანს **განუსაზღვრელობა უცნობი სიმრავლიდან**, რაც, ვფიქრობთ, არის ის სემანტიკა, რომლის შენარჩუნება ვერ ხერხდება **-მე** ნაწილაკიანი ფორმების ჩანაცვლებით.

ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად კიდევ ერთი ტესტის ჩატარება შეიძლება. ესაა განსახილველ ფორმათა დაპირისპირება და განმასხვავებელი სემანტიკის ამგვარად გამოკვეთა.

3. დაპირისპირება – მკვეთრი სემანტიკური სხვაობა:

ნაცნობი სიმრავლე	უცნობი სიმრავლე
რომელიმე მწერალი (ნაცნობი სიმრავლე, ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი)	რომელიღაც მწერალი (უცნობი სიმრავლე)
რომელიმე ქალაქში (ნაცნობი სიმრავლე, ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი)	რომელიღაც ქალაქში (უცნობი სიმრავლე)
როგორმე უნდა გავაკეთოთ. (ნაცნობი სიმრავლე, ჩვენთვის ნაცნობი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენებით უნდა გავაკეთოთ)	როგორღაც უნდა გავაკეთოთ. (უცნობი სიმრავლე, უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ჯერ ჩემთვის უცნობია, როგორ გავაკეთოთ)
როგორმე უნდა გადავწყვიტო. (ნაცნობი სიმრავლე, ჩემთვის ნაცნობი საშუალებებიდან ერთ-ერთის გამოყენებით უნდა გადავწყვიტო).	როგორღაც უნდა გადავწყვიტო. (უცნობი სიმრავლე, აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ, მაგრამ ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია, რა საშუალებებით)
დანერე რამე! (ნაცნობი სიმრავლე. რამდენიმე საკითხის დანერა გევალება, მათგან დანერე რომელიმე.)	დანერე რაღაც! (უცნობი სიმრავლე. სულერთია, რას დანერა.)

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია დაიძებნოს იმგვარი კონტექსტები, რომლებშიც მოხდება **-მე/-ღაც** ნაწილაკიანი ფორმების ჩანაცვლება. ჩვენი მოსაზრებით, ეს ჩანაცვლება შესაძლებელი ხდება წინადადებაში გამომხატული მკვეთრი **მოდალური სემანტიკის** გამო, რაც თავისთავად უშვებს ორივე სიმრავლის (ნაცნობი და უცნობი სიმრავლისადმი) მთქმელის განურჩეველ დამოკიდებულებას. მაგალითად, **ვარაუდის სემანტიკა** თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე შეიძლება მიემართოს როგორც ნაცნობ, ისე უცნობ სიმრავლეს, რაც რეალურად განაპირობებს ამ ფორმათა ჩანაცვლებას: სწორედ ამის გამოა შესაძლებელი ფორმათა ჩანაცვლება. ვარაუდის მოდალობას კონტექსტში გამოკვეთს **აღბათ, იქნებ,**

უნდა (ვარაუდის სემანტიკით) და ვარაუდის გამომხატველი სხვა ენობრივი საშუალებები. ჩანაცვლება ასევე დასაშვებია **სურვილის, თხოვნის, აუცილებლობის მოდალობის** გადმოცემის დროსაც. ამ შემთხვევებშიც დასაშვებია კონკრეტულ მოდალობასთან ორივე სიმრავლის (ნაცნობი და უცნობი) განუსაზღვრელობის სემანტიკის შეთავსება.

4. მოდალობა და ნაცნობი ან უცნობი სიმრავლე.

-ლაც	-მე
ვარაუდი - მაგიდა არეულია, ალბათ ჩემს მაგიდასთან ვიღაც იჯდა. (შესაძლებელია აქ იჯდა ადამიანი, რომელსაც არ ვიცნობ, ის ჩემთვის უცნობი სიმრავლიდანაა.)	მაგიდა არეულია, ალბათ ჩემს მაგიდასთან ვინმე იჯდა. (შესაძლებელია აქ იჯდა განუსაზღვრელი პიროვნება ჩემთვის ნაცნობი სიმრავლიდან.)
ვარაუდი - ორივე მომენონა, ალბათ რომელიღაცას ვიყიდი. (ჯერ არ ვიცი, არ გამიცნობიერებია, რომელს ვიყიდი)	ორივე მომენონა, ალბათ რომელიღაცას ვიყიდი. (ორივე ნაცნობია ჩემთვის, ჯერ განუსაზღვრელია, რომელს ვიყიდი, მაგრამ ვიყიდი ნაცნობი სიმრავლიდან.)
ვარაუდი - ბავშვი სადღაც აქ უნდა იყოს. (არ ვიცი სადაა, განუსაზღვრელია და უცნობია ეს სიმრავლე.)	ბავშვი სადმე აქ უნდა იყოს. (განუსაზღვრელია ის ადგილი, სადაც შეიძლება ბავშვი იყოს, მაგრამ ის ნაცნობი სიმრავლიდანაა.)
თხოვნა - ძალიან გთხოვ, როგორღაც მალე უნდა დაამთავრო ჩემი კაბა. (თხოვნის მოდალობა გულისხმობს, რომ განუსაზღვრელია როგორ, შესაძლებელია, რომ ჩემთვის უცნობი ხერხებით მოხდეს სამუშაოს დასრულება.)	ძალიან გთხოვ, როგორმე მალე უნდა დაამთავრო ჩემი კაბა. (ჩემთვის ნაცნობი რომელიმე შესაძლებლობის გამოყენებით უნდა შეძლო სამუშაოს დასრულება.)
თხოვნა - იქნებ როგორღაც შეძლოთ ხვალ ჩემთან შეხვედრა. (მე არ ვიცი, როგორ, მაგრამ სასურველია შეძლო.)	იქნებ როგორმე შეძლოთ ხვალ ჩემთან შეხვედრა. (რომელიმე შენი შესაძლებლობების გამოყენებით სასურველია შეძლო.)
სურვილი - ვიღაცამ ხომ მაინც უნდა თქვას სიმართლე! (სულერთია ვინ იტყვის ამას, თუნდაც ის იყოს ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან.)	ვინმემ ხომ მაინც უნდა თქვას სიმართლე! (სასურველია, ჩემთვის ნაცნობი სიმრავლიდან ერთმა მაინც თქვას სიმართლე.)

აუცილებლობა – მომეცი ფანჯარი, რაღაცით ხომ უნდა დავწერო! (სულერთია რომელ ფანჯარს მომცემ ჩემთვის უცნობი სიმრავლიდან, მთავარია იყოს საწერი საშუალება.)	მომეცი ფანჯარი, რაიმეთი ხომ უნდა დავწერო! (ჩემთვის ნაცნობი ფანჯარებიდან ერთ-ერთით დავწერ.)
ეჭვი – ვიღაც უნდა იყოს სახლში. (ჩემთვის უცნობია ვინაა ეს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სახლში არის ადამიანი.)	ვინმე უნდა იყოს სახლში. (ეჭვი მაქვს, რომ ნაცნობი სიმრავლიდან ერთ-ერთი უნდა იყოს სახლში.)

5. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: **შეკითხვა** აუცილებლად იყენებს **ნაცნობი სიმრავლის გამომხატველ -მე ნაწილაკიან** ფორმას, რადგან ლოგიკურად შეუძლებელია შეკითხვა დაისვას უცნობი სიმრავლის შესახებ, მას პასუხი ვერ ექნება. ამდენად, თუ გარკვეულ კონტექსტში ჩანაცვლება ვერ ხერხდება, ანუ **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმის შეცვლა არ ხდება **-მე** ნაწილაკიანი ფორმით, ამგვარი ჩანაცვლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წინადადება **კითხვითი მოდალობით** შეიცვლება.

მტკიცებითი წინადადება.	დაუშვებელი კონტექსტი.	კითხვით გამოხატული კონტექსტი.
ამ ოთახში ვიღაც იყო. (უცნობი სიმრავლე.)	№ამ ოთახში ვინმე იყო.№	ამ ოთახში ვინმე იყო? (შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი)
რომელიღაც სტუდენტი ყოფილა გუშინ უნივერსიტეტში. (უცნობი სიმრავლე)	№რომელიმე სტუდენტი ყოფილა გუშინ უნივერსიტეტში.№	რომელიმე სტუდენტი იყო გუშინ უნივერსიტეტში? (შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი)
გუშინ ვიღაცამ მიკითხა სამსახურში. (უცნობი სიმრავლე)	№გუშინ ვინმემ მიკითხა სამსახურში.№	გუშინ ვინმემ მიკითხა სამსახურში? (შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი)
სადღაც იყვნენ. (უცნობი სიმრავლე)	№სადმე იყვნენ. №	სადმე იყვნენ? (შეკითხვა – ნაცნობი სიმრავლიდან ერთი)

6. იცვლება მწკრივის ფორმა: **-ლაც** ნაწილაკიანი ფორმის **-მე** ნაწილაკიანი ფორმით ჩანაცვლება, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, თავისუფლად არ ხდება. ეს პროცესი გარკვეულ პირობას გულისხმობს, კერძოდ, კონტექსტში ხდება მოდალური სემანტიკის შემოტანა. კითხვის გარდა შესაძლებელია სხვა მოდალური სემანტიკის შემოტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს ზმნის **მწკრივი**. წყვეტილის ნაცვლად ხოლმეობით-შედეგობითი (პირობითი) მწკრივის ფორმა ჩანაცვლება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეული მოდალური სემანტიკის შემოტანა წინადადებაში დასაშვებად ხდის ფორმათა ჩანაცვლებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს გარკვეული მწკრივის ფორმას:

წყვეტილის მწკრივის ფორმა	ხოლმეობით-შედეგობითი (პირობითი) მწკრივის ფორმა + ვარაუდის მოდალობა
<i>სადლაც წავიდნენ.</i>	<i>სადმე წავიდოდნენ. // სადლაც წავიდოდნენ. (ვარაუდი: ნაცნობი ან უცნობი სიმრავლიდან რომელიმე ადგილას წავიდოდნენ)</i>
<i>ვილაც იყოს აქ.</i>	<i>ვინმე იქნებოდა აქ. // ვილაც იქნებოდა აქ.</i>
<i>როგორღაც გააკეთა.</i>	<i>როგორმე გააკეთებდა. // როგორღაც გააკეთებდა.</i>
<i>რალაც უნდოდა.</i>	<i>რალაც ენდომებოდა. // რამე ენდომებოდა.</i>
<i>რომელიღაც მალაზიაში იყიდა.</i>	<i>რომელიმე მალაზიაში იყიდიდა. // რომელიღაც მალაზიაში იყიდიდა.</i>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: **-მე** და **-ლაც** ნაწილაკიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სემანტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ორი სისტემა ემსახურება ორი განსხვავებული სემანტიკის გამოხატვას. ესაა **განუსაზღვრელობა ნაცნობი და უცნობი სიმრავლის გამოკვეთით: -მე ნაცნობი სიმრავლისთვის, -ლაც უცნობი სიმრავლისთვის.**

თუ წარმოდგენილი მოსაზრება მისაღებია, ეს ნიშნავს, რომ მორფოლოგიური ფორმების სემანტიკური ანალიზი მთავალ კვლევებში ბევრ სხვა საინტერესო საკითხს წარმოაჩენს. მორფო-სემანტიკური ანალიზის დონე, ვფიქრობთ, ბევრი პრობლემის ახლებურ ახსნასა და გასაღებს მოძებნის.

თავი 5.
მოდალობის კატეგორია ქართულში,
მისი სწავლების მეთოდები და
სტრატეგიები უცხოელთათვის
(ქართულის, როგორც მეორე ენისა და
როგორც უცხო ენის სწავლებისას)

5.1. მოდალობა ენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რამდენადაც მუდმივ მიმართებას ავლენს გამონათქვამსა და მის სემანტიკას შორის. ფართო გაგებით, მოდალური შინაარსისაგან სრულიად დაცლილი წინადადება თუ დისკურსი არ არსებობს. წინადადებით გამოთქმული შინაარსისადმი ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება – კოგნიტური, ემოციური თუ რაციონალური. მთქმელი ამ დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ სხვადასხვაგვარია მისი გამოხატვის საშუალებები. გამონათქვამისადმი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტების საშუალებით, ფოკუსით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და შესტ-მიმიკებით. მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, გამოხატვის მთავარ საშუალებად განიხილება ის ენობრივი ფორმები, რომლებიც ყველა კონტექსტში გარკვეულ მოდალურ სემანტიკას ავლენენ. ამდენად, მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებებად მიიჩნევა ენობრივი ფორმები, ანუ მოდალური ზმნები და ელემენტები.

ენაში არსებული მოდალობის სისტემის დაუფლება ენის სწავლების ყველა ეტაპზე ხდება. ამასთანავე აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული ენის ათვისების რომელ დონეზე მოხდება ამა თუ იმ ფორმისა და სემანტიკის მიწოდება.

ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად გამომხატველად გვევლინება ორი ზმნა – **ნდომა** და **შეძლება** ზმნები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზმნები ქართულში დამოუკიდებელი ზმნური ფუნქციითაც გვევლინებიან. ისინი ჩვეულებრივ იუღლებიან და აქვთ მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის სამივე პირის ფორმა. რაც შეეხება მოდალურ ელემენტს, ეს

არის **ნდომა** ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა – **უნდა**, რომელიც უცვლელად დაერთვის ზმნის პარადიგმას. კონსტრუქცია რამდენიმე მოდალურ სემანტიკას გამოხატავს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვაა მათი კონსტრუქცია, პირველ შემთხვევაში დატიური კონსტრუქციაა, ანუ სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბიექტი იღებს ძირითადი ზმნის კონსტრუქციას, ანუ იმ ბრუნვაშია, რომელსაც ძირითადი ზმნა მოითხოვს: ეს შეიძლება იყოს ნომინატიური ან ერგატიული კონსტრუქცია: **ის უნდა წავიდეს – მან უნდა გააკეთოს:**

უნდა დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით – იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით	უნდა მოდალური ზმნის ფუნქციით – არ იცვლება პირისა და რიცხვიდ მიხედვით
მე მინდა გავაკეთო შენ გინდა გააკეთო მას უნდა გააკეთოს ჩვენ გვინდა გავაკეთოთ თქვენ გინდათ გააკეთოთ მათ უნდათ გააკეთონ	მე უნდა გავაკეთო შენ უნდა გააკეთო მან უნდა გააკეთოს ჩვენ უნდა გავაკეთოთ თქვენ უნდა გააკეთოთ მათ უნდა გააკეთონ

ამდენად, აღნიშნული თავისებურება მნიშვნელოვან პრობლემას შექმნის ენის სწავლების პროცესში და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

გარდა ამისა, არსებობს სხვა მოდალური ელემენტები, რომლებიც დაერთვის ზმნას და მას მოდალურ სემანტიკას ანიჭებს, ასეთებია: **ეგებ, იქნებ, ლამის, თითქოს, თითქმის, კინა-ღამ, მაინც.** ქართული ენისათვის მნიშვნელობა ენიჭება ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტის კომბინაციას.

ქართული ენაში მოდალობის სისტემა ამგვარ სემანტიკურ ჯგუფებს ქმნის:

სემანტიკა	მოდალური ფორმა	მაგალითი
ლოგიკური შესაძლებლობა	შევძლებ შესაძლოა შესაძლებელია	შევძლებ ნასვლას / გააკეთებას... შესაძლოა მოვიდეს / გააკეთოს... შესაძლებელია მოვიდეს / გააკეთდეს...
ალბათობა	ალბათ იქნებ	ალბათ მოვა / იტყვის... იქნებ მოვიდეს / გააკეთოს...
ვარაუდი	ეგებ	ეგებ მოვიდა / მოვიდეს...
ლოგიკური აუცილებლობა	უნდა	უნდა იყოს / გაეკეთებინა / ახსოვდეს...
ვალდებულება, მოვალეობა	უნდა	უნდა დაწერო / გააკეთო...
აკრძალვა	ნუ	ნუ აკეთებ / კითხულობ...
ნებართვა	შეიძლება შეგიძლია შეუძლია	შეიძლება წავიდე / გავაკეთო?.. შეგიძლია წახვიდე / გააკეთო... შეუძლია წავიდეს / გააკეთოს...
უნარი და შესაძლებლობა	შემიძლია ვიცი	შემიძლია ცურვა / კითხვა... ვიცი ცურვა / კითხვა...
უნარისა და შესაძლებლობის უარყოფა	ვერ	ვერ ვცურავ / ვკითხულობ... ვერ გავაკეთებ / წავიკითხავ...
სურვილი (ვოლიტივი)	იქნებ	იქნებ წავიდე / გავაკეთო...
ძლიერი სურვილი, ნატვრა	ნეტავ	ნეტავ წავიდე / გავაკეთო...
შეფასება-მიახლოებითობა	ლამის თითქმის კინლამ	ლამის ჩამოვარდა / გატყდა... თითქმის გააკეთა / დაწერა...
შეფასება-წარმოსახვა	თითქოს ვითომ	თითქოს მოვიდა / გააკეთა... ვითომ მოვიდა / ვითომ გააკეთა...
ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)	განა ნუთუ აკი ნეტავ	განა გააკეთა / თქვა... ნუთუ დაასრულა / მოვიდა?.. აკი არ მინდაო?.. ნეტავ რა უნდა?..ნეტავ იცის ეს ამბავი?..
შეფასება-გადაწყვეტილება	ღირს	არ ღირს ამის გაკეთება... ღირს კი ამის გაკეთება?..

რწმენა-შეხედულება	მაინც	მაინც არ გავაკეთებ / წავალ...
ერთობლივი გადაწყვეტილება	მოდრი	მოდრი ერთად წავიდეთ / გავაკეთოთ..
ინდივიდუალური გადაწყვეტილება (ზეპირმეტყველებაში)	ავდექი და... ადექი და... ადგა და...	ავდექი და წავედი / გავაკეთე / ვუთხარი... ადექი და წადი / გააკეთე / უთხარი... ადგა და წავიდა / გააკეთა / უთხრა...

5.2. მოდალური ფორმების პოლისემანტიკურობა და პოლიფუნქციურობა

საზოგადოდ, მოდალური ფორმებისათვის დამახასიათებელია რამდენიმე სემანტიკის შეთავსება და ამის გათვალისწინებით მათი განსხვავებული ფუნქციის საკითხიც დგება. ამგვარი მოვლენა სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, ინგლისური ენის ერთი მოდალური ფორმა რამდენიმე სემანტიკას შეიძლება გამოხატავდეს (პალმერი 1997), ასევე ჩვეულებრივია მოდალური ზმნის სხვადასხვა დროის ფორმა გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით, მაგალითად, **can** ზმნის წარსული დროის ფორმას (**could**) თავაზიანობის გამოხატვის ფუნქციაც აქვს.

ქართულშიც რამდენიმე მოდალური ფორმა სხვადასხვა სემანტიკას გამოხატავს. ქვემოთ მოცემული ცხრილი თვალნათლივ ავლენს მოდალურ ფორმათა ამ თავისებურებას:

მოდალური ფორმა	მოდალური სემანტიკა
შეძლება	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური შესაძლებლობა • ნებართვა • უნარი და შესაძლებლობა
უნდა	<ul style="list-style-type: none"> • ლოგიკური აუცილებლობა • ვალდებულება და მოვალეობა • ობიექტური აუცილებლობა

იქნებ	<ul style="list-style-type: none"> • ალბათობა • სურვილი, ვოლიტივი
ეგებ	<ul style="list-style-type: none"> • ვარაუდი • ალბათობა
ნეტავ	<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი სურვილი, ნატვრა • ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)
მაინც	<ul style="list-style-type: none"> • რწმენა-შეხედულება • გადანწყვეტილება
ღირს	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • შეფასების მოდალობა
ვიცი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • უნარი და შესაძლებლობა
მოდი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • ერთობლივი გადანწყვეტილება
ავდექი	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი ზმნა • ინდივიდუალური გადანწყვეტილება

ენის სწავლების პროცესში ამ თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია. გრამატიკული მასალის მიწოდებისას კარგად უნდა დაიგეგმოს, თუ რა ეტაპზე და როგორ განიხილება გარკვეული სემანტიკის მასალის მიწოდება.

5.3. ერთი მოდალური ფორმის რამდენიმე სემანტიკა – უნდა

უნდა მოდალური ფორმა ლოგიკურ აუცილებლობას გამოხატავს. მაგრამ ეს არაა ერთადერთი სემანტიკა, რომელიც ამ მოდალური ფორმით გადმოიცემა. დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის ფორმას – კილოსა და მწკრივს. სხვადასხვა კომბინაციაში კონსტრუქციას განსხვავებული სემანტიკა ენიჭება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რამდენიმე კონსტრუქცია. მათი განსხვავებული შინაარსი გამოწვეულია ზმნის

ფორმით. ამდენად, ეს საკითხი ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სემანტიკური ნიუანსების ანალიზი მხოლოდ ენის ფლობის მაღალ დონეზე შეიძლება მოხდეს.

კონსტრუქცია	სემანტიკური ფუნქცია
უნდა + მეორე კავშირებითი, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა (უნდა ვთქვათ...)	მთქმელის სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება ლოგიკურ აუცილებლობას და ახლავს ობიექტური ჭეშმარიტების შინაარსი.
უნდა + მეორე კავშირებითი (უნდა შეიცვალოს...)	მოლაპარაკის პოზიცია, რომელიც ეფუძნება სუბიექტურ აღქმას და წარმოადგენს ლოგიკურად აუცილებელ ჭეშმარიტებას. იგი გამოხატავს მომავალ დროში შესასრულებელ მოქმედებას, რომელსაც ახლავს სასურველობის სემანტიკა.
უნდა + მეორე თურმეობითი (უნდა ჩამოსულიყო...)	ლოგიკური აუცილებლობა და რეზულტატიურობა.
უნდა + ანმყოს კავშირებითი (უნდა ახსოვდეს...)	ზოგადდროულობა, ლოგიკური აუცილებლობა, სასურველობისა ან ვარაუდის დამატებითი მნიშვნელობით.

5.4. მოდალური ფორმების სისტემა და მისი მნიშვნელობა სახელმძღვანელოებისა და სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვისათვის

სახელმძღვანელოების აგებისა და სწავლების პროცესის კარგად წარმართვისათვის აუცილებელია გრამატიკულ მონაცემთა და ენობრივ ფორმათა იმგვარი მიწოდება, რომ ენის საკომუნიკაციო ასპექტები სრულყოფილად წარიმართოს და ამავე დროს არ წარმოიქმნას ენობრივ ფორმათა ფუნქციური და სემანტიკური ორაზროვნება. ამის გათვალისწინებით საკომუნიკაციო თემების სწორად შერჩევის გარდა მნიშვნელოვან

ნია ფუნქციური გრამატიკის საკითხების სწორად განაწილება. სურვილის გამოხატვის შინაარსი ენის სწავლების პირველივე დონიდან მნიშვნელოვანია. ამისათვის ენის შემსწავლელს დასაწყისშივე მიენოდება სურვილის გამომხატველი **ნდომა** ზმნა („მე მინდა წყალი“). ასევე მნიშვნელოვანია კავშირებითი კილოს ფორმების ათვისებაც ეს კი პირველივე დონეზე გულისხმობს არჩევანს რამდენიმე ენობრივ საშუალებას შორის; თუ ამას დავუმატებთ ვალდებულების ან გადაწყვეტილების სემანტიკასაც, პირველივე დონეზე ოთხი კონსტრუქციის მიწოდება გახდება საჭირო:

(1) <i>მე მინდა პური.</i>	სურვილის გამოხატვა.
(2) <i>მე მინდა პურის ყიდვა.</i>	სასურველი მოქმედების გამოხატვა.
(3) <i>მე მინდა პური ვიყიდო.</i>	სურვილისა და გადაწყვეტილების გამოხატვა.
(4) <i>მე პური უნდა ვიყიდო.</i>	გადაწყვეტილების ან ვალდებულების გამოხატვა.

ვითარებას ართულებს ის, რომ ყველა ეს სემანტიკა ერთ ზმნურ ფორმას უკავშირდება, მაგრამ განსხვავდება კონსტრუქციები და ამავე დროს განსხვავდება სემანტიკაც. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სემანტიკის გამოხატვა არ მოხდეს ენის სწავლების ერთ დონეზე და პარალელურად.

ფუნქციური გრამატიკის საკითხთა სწორად და მიზანმიმართულად მიწოდება აუცილებელია წინასწარ კარგად იყოს გააზრებული. ამის მაგალითად გამოდგება კიდევ ერთი ფორმის ანალიზი: **მოდ** ფორმა ბრძანებითი კილოს ფორმაა და აღნიშნავს სვლას მოლაპარაკის მიმართულებით: *მოდ დაფასთან; მოდი ჩემთან*. ეს კონსტრუქცია და სემანტიკა სრულიად შესაძლებელია ენის სწავლების პირველივე დონეზე მიენოდოს შემსწავლელს. **მოდ** ფორმა ასევე გამოყენებულია ერთობლივი გადაწყვეტილების გამოსახატავ მოდალურ საშუალებადაც. ამ სემანტიკით იგი სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციას ქმნის. რა თქმა უნდა, ეს ფორმები ენის სწავლების სხვადასხვა დონეზე უნდა მიენოდოს ენის შემსწავლელს,

რათა კარგად გაიმიჯნოს მათი ფუნქცია და სემანტიკა. ასევე დაუშვებელია ჯერ მოდალური ფორმის მიწოდება, ხოლო შემდგომ კი ზმნისა.

მოდის	სვლა მოლაპარაკის მიმართულებით:	ერთობლივი გადაწყვეტილება:
	<i>მოდის დაფასთან.</i>	<i>მოდის, ერთად წავიდეთ.</i>
	<i>მოდის მაგიდასთან.</i>	<i>მოდის ერთად წავიკითხოთ.</i>
	<i>მოდის ჩემთან.</i>	<i>მოდის, ერთად გავაკეთოთ.</i>

ყოველივე ეს კარგად ავლენს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გრამატიკულ ფორმათა და საკითხთა სწორად გაანალიზება და მათი გარკვეული პრინციპით თანამიმდევრულად მიწოდება. ეს იმთავითვე მოხსნის ფუნქციური, ფორმოზრევი თუ სემანტიკური ორაზროვნების პრობლემას და ენის ათვისების პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს.

5.5. მოდალობის სისტემა და ენის ფლობის დონეების მიმართება

მოდლობის სისტემის თანამიმდევრული მიწოდება ენის სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. რა თქმა უნდა, ამ მხრივ სახელმძღვანელოს ავტორსა და პედაგოგს შეუძლია შექმნას გარკვეული პრინციპით აგებული სისტემა, მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელი იქნება მთელი რიგი საკითხების გათვალისწინება. პირველ რიგში, აუცილებელია წინასწარ შეიქმნას ქვესისტემა, რომელიც თვალნათლივ წარმოადგენს მოდალური სემანტიკის მიწოდებისა და ენის სწავლების დონეების მიმართებას. ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით შესაძლებელია ეს საკითხი ამგვარად წარმოვადგინოთ:

ენის სწავლების დონეები	მოდალური ფორმები	მოდალური ფორმების სემანტიკა
A 1	(თუ) შეიძლება ვიცი უნდა ალბათ	ნებართვა უნარი და შესაძლებლობა ვალდებულება, მოვალეობა ალბათობა
A 2	ვერ ნუ უნდა შემიძლია მოდი ნეტავ	უნარისა და შესაძლებლობის უარყოფა აკრძალვა ლოგიკური აუცილებლობა უნარი და შესაძლებლობა ერთობლივი გადაწყვეტილება ძლიერი სურვილი
B 1	შევძლებ იქნებ განა, ნუთუ, აკი, ნეტავ მაინც	ლოგიკური შესაძლებლობა ალბათობა ემოციური შეფასება რწმენა-შეხედულება
B 2	შესაძლოა, შესაძლებელია... იქნებ ეგებ ლამის, თითქმის, კინაღამ თითქოს, ვითომ ღირს	ლოგიკური შესაძლებლობა სურვილი ვარაუდი შეფასება, მიახლოებითობა შეფასება, წარმოსახვა შეფასება-გადაწყვეტილება
C 1		
C 2		

ენის ფლობს მაღალ დონეზე (C 1, C 2) ხდება ათვისებული მასალის გადამუშავება და მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია ტექსტებსა და ზეპირმეტყველებაში.

5.6. მოდალურ ფორმათა სემანტიკის ათვისების მეთოდები და სტრატეგიები, სავარჯიშოთა ტიპები

ენის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდებისა და სტრატეგიების სწორად შერჩევას. **წერიტი მუშაობის მეთოდი** გრამატიკული საკითხების დაუფლებისათვის მეტად პროდუქტიულია, რადგან იგი ხელს უწყობს მასალის კარგად ათვისებას. მოდალური კონსტრუქციების ათვისებისათვის ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **თვალსაჩინოების მეთოდი**, რადგან იგი მოდელისა და კონსტრუქციების მიწოდების კარგ შესაძლებლობას იძლევა. გარკვეული სემანტიკის გამომხატველი კონსტრუქცია საჭიროებს სპეციალურ ანალიზს, რადგან კონსტრუქციაში გარდა მოდალური ფორმისა მონანიღობს როგორც ზმნის საწყისი (ინფინიტიური ფორმა), ასევე ზმნის კავშირებითი ან თხრობითი კილოს ფორმა. ამდენად, თითოეული სემანტიკისათვის სასურველია შეიქმნას ცალკე მოდელი, რომელიც თვალსაჩინოების სახით მიეწოდება ენის შემსწავლელებს სახელმძღვანელოებსა თუ საგაკვეთილო პროცესში. ამავე დროს გასათვალისწინებელია ქართული ენის ის თავისებურება, რომ ყველა ზმნას წარმოების ერთი მოდელი არ ახასიათებს, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ თვალსაჩინოებაში კონსტრუქციასთან ერთად ჯგუფებად იყოს წარმოდგენილი ერთი წარმოების ზმნები. ასევე პროდუქტიული იქნება **კითხვა-პასუხის მეთოდი**, რადგან იგი თანაბრად ავითარებს როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველების უნარებს.

ენის სწავლების საწყის ეტაპზე სასურველია არა მხოლოდ მოდელის, არამედ ყოფით სიტუაციაში გამოსაყენებელი წინადადებების მიწოდება. წინადადებათა სემანტიკური ანალიზის შემდეგ სასურველია არაავთენტიური, გარკვეული მიზნით შექმნილი და საკომუნიკაციო სიტუაციაზე აგებული ტექსტისა თუ დიალოგის საკითხავ მასალად შეთავაზება. ამ ტიპის ტექსტებში ახალი ფორმები და კონსტრუქციები ხაზგასმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რაც მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას უწყობს ხელს. მხოლოდ ამგვარი

მასალის ანალიზის შემდეგ შეძლებს ენის შემსწავლელი სრულყოფილად წარმართოს რეპროდუქციებისა და პროდუქციების ფაზები და თავად შეადგინოს კონსტრუქციები, წინადადებები და ტექსტები. მასალის ათვისებას გააადვილებს მრავალფეროვანი სავარჯიშოები. თითოეული სავარჯიშო მასალის ათვისებასა და გარკვეული უნარის განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კონსტრუქციისა და სემანტიკის სწორად შერჩევა ეს კი ენის შემსწავლელმა შეიძლება აითვისოს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით.

სავარჯიშოთა ტიპები:	მიზანი:
წინადადებაში სწორი მოდალური ფორმის ჩასმა.	მოცემულია რამდენიმე მოდალური ფორმა, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ერთი და ჩასვას წინადადებაში. ხელს უწყობს წინადადების შინაარსისათვის შესაფერისი მოდალური ფორმის შერჩევას.
სწორი ზმნის ფორმის შერჩევა.	წინადადებაში მოცემულია მოდალური ფორმა, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს და შეუსაბამოს ზმნის სწორი ფორმა. სავარჯიშო ხელს უწყობს სწორი მოდალური კონსტრუქციის შედგენას.
წინადადებათა ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება.	სავარჯიშო ავითარებს წინადადების შინაარსის გაგებისა და სწორი კონსტრუქციის აგების უნარს.
შეკითხვისათვის სწორი პასუხის შერჩევა.	ავითარებს სწორი სემანტიკისა და კონსტრუქციის შერჩევას.
მოდალურ ფორმაზე წინადადების შედგენა.	ავითარებს მოდალური ფორმისა და მისი კონსტრუქციის გამოყენებას გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად.
კითხვების დასმა.	ავითარებს საკომუნიკაციო სიტუაციას და ზუსტი შინაარსის გამოხატვას.

წინადადების სემანტიკის შეცვლა.	ავითარებს მოდალური ფორმების სემანტიკური ნიუანსების ცოდნას.
წინადადებების შედგენა.	ავითარებს პროდუქციების უნარს.
დიალოგის შედგენა.	ავითარებს პროდუქციების უნარს.
ტექსტის შედგენა.	ავითარებს პროდუქციების უნარს.

განხილული მეთოდები და სტრატეგიები თანაბრად შეიძლება იყოს გამოყენებული ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. თუმცა მათ შორის არის გარკვეული განსხვავებაც: მეორე ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ის ენობრივი გარემო, რომელშიც იმყოფება ენის შემსწავლელი და რაც მისთვის ერთგვარ დამხმარე როლს ასრულებს კომუნიკაციაში. გარკვეული მოდალური სემანტიკის გასაგებად ზოგჯერ შეიძლება ისეთი არავერბალური საშუალებებიც იყოს გამოყენებული, როგორებიცაა ჟესტი, მიმიკა, ინტონაცია და სხვა, რაც უცხო ენის სწავლების პროცესში ნაკლებად არსებობს, თუ ენის შემსწავლელი არ იმყოფება იმ ენობრივ გარემოში. ამდენად, სავარჯიშოთა და პრაქტიკულ სამუშაოთა რიცხვი უცხო ენის შემსწავლელს მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდოს.

თავი 6. **მოდალური სემანტიკის გამონათვა** **ქართული ენის დიალექტებში**

6.1. ნაწილაკ-მორფემოიდთა სისტემა **ქართული ენის დიალექტებში**

ნაწილაკთა სისტემა ქართულ ენაში საკმაოდ მდიდარი და ფუნქციურად დატვირთულია. ზოგჯერ ნაწილაკი გვევლინება სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის წარმოების დამატებით საშუალებად, ზოგჯერ კი მისი ფუნქცია გარკვეული სემანტიკური კატეგორიის გამოხატვას ემსახურება. ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართული ენის მონაცემების ახლებურად გაანალიზებას მოითხოვს. ამის მაგალითად გამოდგება მოდალობის კატეგორიის ანალიზი, რომლის გამოხატვის ერთ მთავარ საშუალებას, კილოსთან ერთად, სწორედ ნაწილაკი წამოადგენს. ნაწილაკთა სისტემის შესწავლა უკავშირდება არა მხოლოდ თავისთავად ნაწილაკთა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს, არამედ გულისხმობს გარკვეული სემანტიკური კატეგორიების გამოვლენას ენაში და მათ ფუნქციურ-პრაგმატულ ანალიზსაც.

დიალექტებში ნაწილაკთა სისტემა, რა თქმა უნდა, იმეორებს საერთო ქართული ენის სისტემას, მაგრამ როგორც დამოუკიდებლად არსებული ენობრივი ქვესისტემები, ისინი ასევე მოიცავენ ისეთ ნაწილაკ-მორფემოიდებსა და ელემენტებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ არსებობს. ამდენად, დიალექტთა მონაცემები ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციებისათვის მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელი მასალაა.

ქართული ენის დიალექტებში მოიპოვება ისეთი ნაწილაკები, რომლებიც სალიტერატურო ქართულისათვის აღარაა დამახასიათებელი; ასევე ვლინდება სალიტერატურო ქართულისაგან არა მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები, ასევე სემანტიკურად განსხვავებული ფუნქციის მქონე ელემენტებიც. ამის გათვალისწინებით, ნაწილაკ-მორფემოიდ-

თა სისტემა ქართული ენის დიალექტებში მრავალფეროვან და საინტერესო მასალას იძლევა.

ნაწილაკ-მორფემოიდთა საფუძვლიანი ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მხარეა მათი სემანტიკური ფუნქციის შესახებ მსჯელობა. დიალექტთა მონაცემების მრავალფეროვან და მრავალფუნქციურ მასალაში რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი. ეს სემანტიკური ჯგუფები და მათი შემადგენელი ნაწილაკები შეიცავენ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება მთქმელის მიერ ფაქტთა და მოვლენათა მისეულ აღქმასა და შეფასებას; ეს კი შესაძლებლობას იძლევა ისინი მოდალობის კატეგორიის გამომხატველ ენობრივ საშუალებებად მივიჩნიოთ. მათი ანალიზი ორმხრივი შედეგების მომცემია: ერთი მხრივ, იკვეთება ცალკეულ დიალექტებში გამოვლენილი ნაწილაკები და მათი სემანტიკური ფუნქციები, ხოლო მეორე მხრივ, აღინერება მოდალობის კატეგორიის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქვესისტემებში, ანუ დიალექტებში. საბოლოოდ კი, ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ მოდალობის კატეგორიის გამომხატველი ზოგადი სისტემის შესახებ ქართულ ენაში.

ქართული დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებით შემდეგი სემანტიკური ჯგუფების გამოყოფაა შესაძლებელი:

1. კითხვითობა. ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, ძველ ქართულში, კითხვის გამომხატველ ელემენტად გვევლინება **-ა** ნაწილაკი. (იხ.: ე. ბაბუნაშვილი, მ. ფალავა). თანამედროვე ქართულისათვის იგი მხოლოდ რამდენიმე დიალექტში გვხვდება. უმეტესად ზმნას ერთვის და გამონათქვამს კითხვის მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგადად წინადადებაში კითხვით სიტყვასთან ერთად **-ა** ნაწილაკის არსებობა მიუთითებს მის დასუსტებაზე, თუმცა აღმოსავლეთის დიალექტებში მისი არსებობა მას კვლავ ენობრივად აქტიურ ელემენტად წარმოადგენს. **ხევსურულ** დიალექტში იგი **-ა** სახით გვხვდება, თუმცა მას შეიძლება **-ე** ელემენტიც დაერთოს: **„ცოდვა არ ასა?“ „გა-ქსონს-ა-ე?“ – გახსოვს? „ნა-ვიდ-ეს-ა-ე-ე?“ – ნავიდნენო? ფშაურსა და თუშურ** დიალექტებშიც ანალო-

გური ვითარებაა – კითხვითობის -ა ნაწილაკი დაერთვის ზმნას. ინგილოურში კი შეიძლება კითხვითი წინადადება -ა ნაწილაკითაც დადასტურდეს და -ა ნაწილაკის გარეშეც: „**სა მიდი-ა? // სა მიდი?**“ მნიშვნელოვანია ის, რომ თუ არაა კითხვითობის -ა, მაშინ ხმოვანი გრძელდება. ეს საკითხი კითხვითი წინადადების მახვილს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ მახვილი ძველსავე ქართულში მოუდიოდა არა კითხვითობის -ა ნაწილაკს, არამედ მის წინა პოზიციაში მყოფ ხმოვანს. სწორედ ამას უნდა განეპირობებინა ქართულში -ა ნაწილაკის დაკარგვა. ინგილოურ დიალექტში კი წინა ხმოვნის სიგრძე სწორედ -ა ნაწილაკის არარსებობაზეა დამოკიდებული. გარდა მთის დიალექტებისა, კითხვითობის -ა გვხვდება რაჭულშიც – „**მოდინარ-ა?**“

კითხვითობის სემანტიკაში შეიძლება განვიხილოთ **ჩაკითხვის** ნაწილაკიც. ჩაკითხვა მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველია. იგი შესაძლოა გულისხმობდეს დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ან სურვილს, როგორც ვერგაგების, ასევე ინფორმაციის შევსების საჭიროების შემთხვევაში. **გურულ** დიალექტში ამ შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება **თუ** ელემენტი, რომელიც, გარდა სხვა ფუნქციებისა, გურულ დიალექტში ამ სემანტიკასაც ითავსებს: „**ბუუკეთე, თუ?**“

2. დადასტურებითობა. დადასტურებითობის სემანტიკა გულისხმობს საკუთარი გამონათქვამისადმი მკვეთრად დადებითი დამოკიდებულების გამოხატვას. დადასტურებითი ნაწილაკები საკუთარი ხედვისა და პოზიციის გამაძლიერებელი საშუალების ფუნქციური დატვირთვით ვლინდება წინადადებაში. დიალექტებში ამ სემანტიკის გამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ **-ქვე /-ქე** ნაწილაკები. ეს ნაწილაკი გვხვდება როგორც აღმოსავლეთის, კერძოდ, ხევსურულში, ისე დასავლეთის დიალექტებში, კერძოდ, რაჭულში, ლეჩხუმურსა და იმერულში. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი საერთო ქართული მოვლენაა. რაჭულში ზოგჯერ მისი მნიშვნელობა იჩრდილება და იგი წინადადებაში და-

დასტურებითობის მკვეთრი სემანტიკის გარეშეც შეიძლება იყოს გამოყენებული.

ხევსურული – „თივას ქვე მივსცემავ.“ „ქვე არ გუთხარ?“
(ა. ჭინჭარაული)

რაჭული – „ქვემც არუქეს ხმალი“ „ქვე რა იყო?“ „ქალი ლამაზი ქვე იყო.“

„ვეზირს ქვე უკვირს.“ „გოგომ ქვე რა იცოდა.“ „ქვე ხვარ გაგიყდა?“ „ქი არ გეიპარა ეს ქალი?!“ „ქვეც აკეთებს, ქვეც აცხობს, ქვეც რეცხამს.“

ლენხუმური – „ქვე დავრჩით.“ „ქვე რა უნდოდა?“ „ურემი ქვე სა იყო?“

გურული – „ქი მივა.“

ნაწილაკი აბა განსხვავებული სემანტიკით ვლინდება კითხვითსა და ძახილის წინადადებაში. კითხვითი ინტონაციით წარმოთქმისას მას სწორედ დადასტურებითობის ფუნქცია ენიჭება:

იმერული – „გააკეთე? – აბა არა? (კითხვითი ინტონაცია)

ლენხუმური – „გააკეთე? – აბა არა? (კითხვითი ინტონაცია)

სრულიად განსხვავებულია მისი სემანტიკა ძახილის წინადადებაში. იგი ამ შემთხვევაში უარყოფის სემანტიკას გამოხატავს:

იმერული – „გააკეთე? – აბა! (ძახილის ინტონაცია)

გარდა განხილული ნაწილაკებისა, დადასტურებითობას გამოხატავს ნაწილაკები: **დასტურ, ჰაგრე, ბა, და:**

გურული – „დასტურ ასეა!“

აჭარული – „ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? – ჰაგრე!“ (=კი, ამოვალ) „სანყალს თლა გააყვენ შინაურები, ბა!“ „მოვალ–და!“

დიალექტებში ასევე ვლინდება დადასტურებითი ხომ > ხუმ // ხუ და ხოდე / ჰოდე / ჰოდედა / ხოდედა ნაწილაკები.

ცალკე დგას მოხეური დიალექტის მონაცემი, რომელიც **თუ** ფორმის დადასტურებითობის სემანტიკით გამოყენების შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ და ავლენს მის დამატებით კიდევ ერთ სემანტიკას:

მხეური – „იმ მთიულს ცხენი თუ (=ხომ) არ ჰყვანდა?“

დადასტურებითობის სემანტიკას შეიძლება კიდევ ახლდეს გარკვეული დამატებითი შინაარსიც:

კითხვით-დადასტურებითი: მოხეური – „მოდის განა?“

დადასტურებითი, ნაქეზება: რაჭული – „აჰა, მითხარი..“

დიალექტებში დადასტურებითობის შინაარსი სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა, რაც აშკარად მიუთითებს ამ სემანტიკის აქტიურ ფუნქციონირებაზე ენაში.

3. უარყოფა. ქართულ ენაში უარყოფის მეტად თავისებური სისტემა ვლინდება, რაც გულისხმობს ნეიტრალური ან კატეგორიული უარყოფის, შესაძლებლობის უარყოფისა და ბრძანება-თხოვნის უარყოფის სპეციალური ნაწილაკებით გადმოცემას. ეს სისტემა დიალექტებშიც უცვლელად მოქმედებს, რაც საერთო ქართული მონაცემია და მას სისტემური ცვლილება არც დიალექტებში არ ახასიათებს.

გარდა ამისა, დიალექტებში დასტურდება გარკვეული სემანტიკური ნიუანსით განვრცობილი ფორმები – **აჰა, მააჰა**, რომლებიც კატეგორიულ უარყოფას გამოხატავენ ძახლის ნინადადებაში.

იმერული – „გააკეთე? – აჰა! (ძახლის ინტონაცია)

რაჭული – „იყავი ონშიდა? – მააჰა! (შ. ძიძიგური)

სალიტერატურო ქართულისაგან სრულიად განსხვავებული სემანტიკა აქვს **გურულში „ანაგებათ“** ფორმას: **„ანაგებათ არ ქნა!“** იგი კატეგორიული უარყოფის გამაძლიერებელ საშუალებად ვლინდება კონტექსტში.

4. დაეჭვება-ვარაუდი. გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვა ხშირად **დაეჭვებისა და ვარაუდის** სემანტიკით ვლინდება. ამდენად, მოდალობის კატეგორიაში ეს ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული სემანტიკაა. სალიტერატურო ქართულში ეს სემანტიკას რამდენიმე ნაწილაკით გამოიხატება: **ალბათ, იქნებ, ეგებ, უნდა...**

დიალექტებში ამ სემანტიკის გამოხატვის უფრო მრავალფეროვანი სპექტრი გვაქვს. **ხევსურულში** დაეჭვება-ვარაუდის სემანტიკა **თუ** ფორმით გამოიხატება: **„ქვე თუ წაიყვანეს...“ (ა. ჭინჭარაული).**

ვლინდება სხვა საშუალებებიც:

ფშაური – „*პური-ოთ გშიან*“ – *ალბათ პური გშია*

მოხეური – „*მოვალის-ლა?*“ – *მოვა კი? (საბა, შ. ძიძიგური)*

ქართლური – „*მოვიტანო-ლა?*“

ვარაუდის სემანტიკა ფშაურში შეიძლება გამოიხატოს **დიამც** ან **სამ** ფორმით: „*დიამც ზოგ ზოგას ავშურდე*“ (*ზოგს იქნებ კიდეც შევძულდე*). „*მოხუცმა სამ (=როგორც ჩანს, ალბათ) იკითხა*“ (*ა. ჭინჭარაული*). თუმცა **სამ** ფორმა შესაძლოა წინადადებაში ამ შინაარსისაგან დაცლილი იყოს. „*ბევრ სამ ავს საქმეს ჩაიდენს*“ (*ვაჟა*)

ეგებ და **იქნებ** ნაზმნარი ფორმები თანამედროვე ქართულში მოდალობის გამოხატვის ყველაზე პროდუქტიული საშუალებებია. ეს სემანტიკა დიალექტებშიც ამავე ფორმებს უკავშირდება: **ეგება / ეგებო, იქნება / იქნებო** ფორმები დაექვევებისა და ვარაუდის სემანტიკას გამოხატავს იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში:

იმერული – „*იქნება ქე მევიდეს ანი*.“

გურული – „*იი კაცი მევიდეს ეგება*.“

ლექსუმური – „*ეგებო ქე მევიდეს ი კაცი ამელამ*.“

ალბათობის სემანტიკა ახლოსაა დაექვევებისა და ვარაუდის სემანტიკასთან, მაგრამ ხშირად იგი ცალკე განიხილება, თუმცა შესაძლოა მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები ერთხვეოდეს ვარაუდის გამოხატვას. ფშაურში ამ სემანტიკას **-ოთ** ნაწილაკი გამოხატავს: **ფშაური** – „*კი-ოთ აღარა მერგება*“ – *ალბათ აღარ მერგება*. „*კიდე-ოთ გნახავთ, სწორებო, არ-ოთ არსად დავიკარგები*“ – *ალბათ კიდეც გნახავთ, ალბათ არსად დავიკარგები*.

თუ ნაწილაკს უკავშირდება ალბათობის სემანტიკის გამოხატვა: **მოხეური** – „*ერთი ცხვარი დაგოკლდა, თუ (=ალბათ) დაიღუპა საით*.“

5. მოვალეობა, ვალდებულება, სასურველობა. თანამედროვე ქართულისათვის მოდალური სემანტიკით ყველაზე მეტად დატვირთული ფორმა არის **უნდა** ნაწილაკი. იგი ნაზმნარი ფორმაა, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა **სურვილსა** და **საჭიროებას** უკავშირდება. ნაწილაკად ქცევის შემდგომაც ამ

ფორმის ყველაზე მკვეთრი მახასიათებელი არის მისი კონტექსტუალური პოლიფუნქციურობა. ერთსა და იმავე კონსტრუქციაში მისი საშუალებით შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მოვალეობა, ისე ვალდებულება, სასურველობა, შესაძლებლობა და სხვა სემანტიკა. ეს სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნება მას დიალექტებშიც გადაჰყვება. მაგრამ დიალექტები მისი ფორმოზოგი მახასიათებლის საინტერესო მასალასაც იძლევა. იგი გვევლინება სხვადასხვა ფორმით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფორმოზოგი ცვლილება მხოლოდ ნაწილაკურ ფორმას ეხება, ხოლო დამოუკიდებელი ზნის ფუნქციით იგი ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის.

სამცხურ-ჯავახური: -ნა // -და // -ნდა: „მე-ნა ნავიდე, ღვედლი-ნა მოვიყვანო, ბოვშეები-ნა დავანათვლინო.“ „მას-ნა მეერწყა.“ „შვილი-და გაგიჩნდეს // შვილი გაგიჩნდეს-ნა.“

უნა: „უნა გავიყარნეთ.“ „ძმა უნა მოუკლას“ „თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მინა-წყალი, უნა გადიეცეს სანყალ გლეხებსა.“

კახური – „თითო კევრზე უნა იყოს უღელი საქონელი შებმული.“

„უნ დაფარული იყოს.“ „ისნა შეერთო.“ (ის უნდა) „მეცნა ნავიდე.“ (მეც უნდა)

რაჭული – „მე უნა გამამყვე ცოლათაო.“ „ხემწიფე უნა ვეირჩიითაო.“ (ქვემორაჭული) „ქალები ცალკენ უნა მსხდარიყვენ.“ (ზემორაჭული); „უნა წამოვიყვანო.“ (ზემორაჭული)

ლენხუმური – „უნა გამატანოვო.“

აჭარული – „იქ-ნდა// იქ-ნა მივდეს.“ „ვილა-ნდა მოვდეს კიდვენ?“ „რომელი-ნდა გააკეთო კაცმა?“ „ვინ-და ნევდეს?“ „ის-ნა მეთქვა.“ „ხიდზე-ნა გადაავდოს.“ „არ-ნა გეკადრებია.“ „ერთი რაცხა შეგეხვენო-ნდა.“ „დანეროს-ნა.“

გურულსა და იმერულში დასტურდება უნდა ფორმა:

გურული – „იი კაცი მევიდეს უნდა.“

იმერული: „მაი მასე კარ უნდა თქვა...“

უნდა მოდალური ფორმის სემანტიკური ნიუანსების სრულყოფილი დახასიათება გულისხმობს დიდძალი მასალის ანალიზს როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებშიც.

6. ნატვრითობა. ნატვრითობა მკვეთრად გამოხატული სემანტიკაა ქართულში. იგი ძველი ქართულიდანვე უკავშირდება კავშირებით კილოსა და **-მცა** ნაწილაკს.

დიალექტებში ნატვრითობის სემანტიკის გამოხატვა **-მცა** ნაწილაკის სხვადასხვა ფომეტიკური ვარიანტით ხდება: იგი დასტურდება როგორც **-მცა**, ასევე **-მც** ფორმით. **-მცა** ნაწილაკი წინადადების სხვადასხვა წევრს შეიძლება დაერთოს, შეიძლება იგი ნატვრითობის გამომხატველ **ნეტავ** ფორმასთანაც შეგვხვდეს და ამით გააძლიეროს მისი მნიშვნელობა.

ხევსრული – „**ღმერთ-ი-მც აგაშენებს!**“ (ა. ჭინჭარაული)
მთიულურ-გუდამაყრული – „**შენამც შეგიყორდება ცხრა-თავისნი დევის დაო.**“ (=შეგიყვარდეს)

ფერეიდნული – „**ღამით გავიარნეთ, არა-მც ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნ-ე-ნ.**“

რაჭული – „**ღამც (=ბევრიმც) მოგვივა ახალი წელიწადიო შეძენისაო.**“

„ნეტამცა ნატრა მანატრა.“ **„ნეტამცა ეჯობოს.“**

თუშურში გამოვლენილი **-მე** ნაწილაკი ავლენს **-მცა** ნაწილაკის წარმომავლობას (-მე-ცა. თ. უთურგაიძე) **თუშური** – **„მო-ვიდ-ი-ს-ა-მე-ვ“** – **ნეტავ მოვიდესო!** **„გაყ-კეთ-ებ-ს-ა-მე-ა? – ნეტავ გააკეთებს?**

ცალკე მსჯელობის საგანია იმერულში დადასტურებული კონტექსტი, რომელსაც ამჟამად უფრო ირონიული ელფერი აქვს, რაც აძნელებს მასში ნატვრითობის სემანტიკის ამოკითხვას: **„ისემც კაი დაგემართოს“**. **-მც** ნაწილაკიანი ფორმა კავშირებითი კილოს ზმნასთან დასტურდება. მართალია, ამ მყარ გამონათქვამში ახლა ნატვრითობის სემანტიკა სრულიად დაჩრდილულია და იგი უფრო ირონიულ ფრაზად გვევლინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ **-მც** ნაწილაკში სხვა სემანტიკა ვეძიოთ. მოცემული გამოთქმა უკვე მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად გვევლინება, რომელშიც ცალკეულ ფორმათა მნიშვნელობა დაჩრდილულია, ხოლო ფრაზის სემანტიკა კი გადააზრებულია. მოცემული ფრაზეოლოგიური გამოთქმა უკავშირდება იმ შემთხვევას, როცა მთქმელისათვის დაუჯერებელია ან მიუღებელია რაიმე ფაქტი, ხოლო მოცემული

ფრაზით ირონიზებულია ეს დამოკიდებულება. გამონათქვამის ამოსავალ ვარიანტში შეიძლება ამგვარი შინაარსი ვიგულისხმოთ: *ნეტავ ყველაფერი კარგად იყოს, ყველაფერი კარგი „დაგემართოს“, მაგრამ მე მაინც არ მჯერა შენი...*

ნატვრითობის სემანტიკა ასევე უკავშირდება **ნეტა / ნეტავ / ნეტაი / ნეტარ** ფორმებს, რომლებიც გავრცელებულია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში.

7. დაზუსტება. ცალკე სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება გამოიყოს დაზუსტებისა და მითითება დაზუსტების შინაარსის გამამკვეთრებელი ნაწილაკები. ამ შემთხვევაში მათი გამოყენება მიუთითებს მთქმელის სურვილზე, გამოკვეთოს გარკვეული ინფორმაცია წინადადებაში: **ფშაურ** დიალექტში ეს სემანტიკა **-ოდ** და **-ლა** ნაწილაკებით გამოიხატება:

„ერთი ჯორა რაიმა მყვანდა, იხინჭასა და ისიც იქა-ოდგავყიდ“ (=იქვე) (გ. ცოცხანიძე); „სალამო-ლა იყო“ – უკვე სალამო იყო. „მკვდარი-ლა ვეგონე“ – უკვე მკვდარი ვეგონე. (გ. ცოცხანიძე)

კახურსა და ქართლურ დიალექტებში მითითება-დაზუსტებისათვის სპეციალური ნაწილაკები ვლინდება. ესაა **ანდე // ანგე; ენდე // ენგე; ინდე // ინგე** ფორმები, რომლებიც, გარდა განხილული სემანტიკისა, მოლაპარაკის პირთან მიმართებასაც გამოხატავენ. კერძოდ კი, ამ ფორმებში სიმორე-სიახლოვის სემანტიკის გამოხატვა აკისრია **ა / ე / ი** ხმოვნებს. **ქარ-თლური – „ანდე“ – აი, აე. „ენდე“ – აი, მანდ, მაე. „ინდე“ – აი, იე (ი. იმნაიშვილი, ო. კახაძე).**

§ 8. მტკიცებითობა. ფშაურსა და თუშურ დიალექტებში ვლინდება ნაწილაკები, რომლებიც მტკიცებითობის სემანტიკას ატარებს. მოცემული გამონათქვამებით მთქმელი ცდილობს საკუთარი პოზიციის ან შეხედულების დამტკიცებას: **ფშაური – „განა კი დავიმალები“ (=ხევს. ქვე) თუშური – „ცხენი, გატყობა-ნ, გეშინის...“ – ცხენო, აკი გატყობ, გეშინია.**

§ 9. თხოვნით-ნაქეზებითობა. ეს სემანტიკა შესაძლოა რამდენიმე ფორმას დავეუკავშიროთ: **მოხეური – „გაამზადე-**

ლა.“ რაჭული – „გამიკეთე, ჭი, ეგ საქმე.“ „ჩაირბინე, ჭი.“ ნუ, ჭი!“ „მოველო, ჭი, და მოგიტანე ნაბადი.“

10. შეფასება-მიახლოებითობა. ეს ორი სემანტიკა კარგად ვლინდება ნაწილაკში **კინალამ**, რადგან ამ ფორმით გამოიხატება მთქმელის მიერ ფაქტის შეფასება, რომელიც სრულად არ განხორციელდა და შედეგთან მიახლოებით მსგავსებას გამოხატავს. კონტექსტი „**კინალამ ნავიქეცი**“ მიუთითებს, რომ მთქმელმა მოქმედება ნაქცევას დაუკავშირა, მაგრამ რეალურად ასე არ მომხდარა, ნაქცევა შედეგი არ ყოფილა. მოცემული ტერმინი (შეფასება-მიახლოებითობა) არის ცდა გამოიხატოს წინადადებაში ამ ნაწილაკის მეშვეობით შეტანილი სემანტიკა.

დიალექტებში ეს შინაარსი მოცემული ნაწილაკის სხვადასხვა ვარიანტით გამოყენებას უკავშირდება: **კილამ / კილამე (რაჭული), ღარმე / რალმე, კილმე (იმერული), კილამ / კილმა (ლენხუმური), კილარმი / ღარმი / წილამ (აჭარული).**

ქართლურ დიალექტში ამ სემანტიკას გამოხატავს -**ლა** ნაწილაკი: **„კვდება-ლა ის უბედური, ისე მუშაობს.“**

რაჭულსა და იმერულში შეფასება-მიახლოებითობის სემანტიკას კიდევ ერთი ელემენტი გამოხატავს: ესაა **ზე** თანდებული, რომელიც ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება გარკვეულ კონტექსტში და ზმნასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ცალკე მდგომი ერთეულია. **„გადირია ზე“** კონტექსტი გამოხატავს, რომ ემოციური ფორმა იმდენად დიდი იყო, რომ იგი კრიტიკულს მიუახლოვდა.

საერთო მასალიდან შესაძლებელია კიდევ რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა, თუმცა მათზე მსჯელობისათვის სასურველია მეტი მასალის ანალიზი, რაც მხოლოდ კორპუსული კვლევის გამოყენებითაა შესაძლებელი.


თავი 7. მოდლობა ქართულ ჟანრებში

მოდლობა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური საკითხია ენათმეცნიერებაში. ტერმინი „მოდლობა“ ტრადიციულად სამი მნიშვნელობით გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რა მიმართულების კვლევაა ნარმოდგენილი – ლოგიკური, დისკურსული თუ გრამატიკული. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინმა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობაც შეიძინა ბოლო პერიოდში, კერძოდ, იგი გამოსატყვევებს მესიჯის გადმოცემის არხს – ვერბალურია თუ არავერბალური საკომუნიკაციო არხი. განსაკუთრებით ხშირია ამ მნიშვნელობით მისი გამოყენება ჟესტური ენების მკვლევრებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ტერმინი „მოდლობა“ ოდენ გრამატიკული მნიშვნელობით რომ განვიხილოთ, იგი მაინც რჩება ურთულეს ენობრივ მოვლენად (Herrero-Blanco & Salazar-García. Acc. 2016 15.10.) ამ ეტაპზე მოდლობის საკითხი ქართულ სამეცნიერო და ჟესტურ ენებში ნაკლებად შესწავლილია. ამ თემაზე არის მხოლოდ რამდენიმე სტატია (შარაშენიძე, ვამლინგი, ბოედერი, მახარობლიძე, ზექალაშვილი, ლამბაშიძე).

მოდლობა ენებში არის მრავალმხრივი კვლევის საგანი. იგი საინტერესოა როგორც წმინდა გრამატიკული, ასევე სოციოლინგვისტური და დისკურსული კვლევების კუთხით. ტიპოლოგიურად ცნობილია, მრავალ სამეცნიერო ენაში მოდლური ზმნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თავაზიანობის ველის გაფორმებისას. მაგალითისთვის, ქართულ სამეცნიერო ენაში თხოვნა გაფორმებული კითხვითი ფორმითა და მოდლური ზმნით – „შეგიძლია მითხრა?“ თავაზიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება იმავე კონტენტის პირდაპირი ფორმისგან – „მითხარი“. მოდლური ზმნების გამოყენება ამ კუთხით უნივერსალურია და ორივე ქართული ენა – სამეცნიერო და ჟესტური, ცხადია, ამ მოდლებს ფართოდ იყენებს.

უდავოა, რომ მოდლობა, როგორც ენობრივი მოვლენა დიდწილად უკავშირდება ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ხალხის

ლინგვოკულტუროლოგიური ღირებულებების პარადიგმებს. ამ საკითხს აქ დეტალურად არ შევხებით, ეს ცალკე კვლევის საგანია. აღვნიშნავთ, რომ ქართულ ფესტურ ენაში აღინიშნება გარკვეული სიუხვე მოდალური ფორმებისა. ამ ენას აქვს „შედება“ (შემიძლია/შეუძლია) ფორმის რამდენიმე სრული და არასრული სინონიმური ფორმა.



(მე) შემიძლია



(მე) შემიძლია



(მე) შემიძლია

ქართული ფესტური ენა ხშირად ერთად გამოიყენებს ერთი და იმავე მნიშვნელობის ორ მოდალურ ფორმას როგორც დადებით, ასევე უარყოფით ფორმატში. ამრიგად, ეს ზემოთმოყვანილი მოდალური ზმნის ფორმები მოსალოდნელია ნებისმიერი კომბინაციით შეგვხვდეს ქართული ფესტური ენის წინადადებაში. უნდა ითქვას, რომ მოდალურ ფორმათა დუბლირება სხვა ფესტურ ენებშიც გვხვდება.



ხვალ შემეძლება შემეძლება

ზოგადად, მოდალობის კლასიფიცირება ხდება დეონტურ და ეპისტემურ მოდალობებად (Palmer 1979; Hoye 1997). ეპისტემური მოდალობა გულისხმობს მოსაუბრის ცოდნას ან რწმენას, რის საფუძველზეც იგი აგებს თავის მსჯელობას საგნებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით (Hoye 1997, 42). დეონტური მოდალობა კი მოიცავს შესაძლებლობების ან საჭიროების თემას, რის მიხედვითაც მომავალში შესასრულებელი მოქმედებისთვის მოსაუბრე ან ნებართვას იძლევა ან რამე ტიპის ვალდებულებაში შედის (Hoye 1997, 43). ამ ორ ძირითად მოდალობას თავისი ქვეჯგუფები გააჩნია. ჩვენ აქვე უნდა დავამატოთ, რომ არსებობს მესამე, შერეული ფორმაც (რაზეც ჩვენ ქვევით ვისაუბრებთ).

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ქართულში (და არა მხოლოდ ქართულში) ზოგჯერ რთულია ამ ორი ტიპის მოდალობის გამიჯვნა. საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ნაწილაკი **უნდა** გამოიყენება მოდალობის ორივე სემანტიკის გადმოსაცემად.

ნებისმიერი ტიპის მოდალობის გადმოცემა შეიძლება მოხდეს შემდეგი სამი ტიპის კონსტრუქციით:

- ნმინდა ზმნური კონსტრუქციით – მოდალური ზმნა პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *მინდა წავიდე*);
- ნაწილაკიანი კონსტრუქციით – ნაწილაკი პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *უნდა წავიდე*);
- შერეული ტიპის კონსტრუქციით – მოდალური ზმნა, ნაწილაკი და ძირითადი ზმნა (მაგ., *ვიცი, უნდა წავიდე*).

ეს უკანასკნელი ფორმა სემანტიკური თვალსაზრისითაც ხშირად შერეული ფორმაა – აქ გვაქვს როგორც ეპისტემური, ისე დეონტური კონტენტი.

თანამედროვე ქართულში მოდალობის კონსტრუქციებში შედარებით ხშირია შემდეგი ზმნური ფორმების გამოყენება: **მინდა, გინდა**. ეს უკანასკნელი თავისუფალი არჩევანის კავშირადაც გამოიყენება. **უნდა** კი ხშირად მოდალური ნაწილაკის ფუნქციით მუშაობს. ასევე ხშირია ზმნები: **შეიძლება, შესაძ-**

ლოა, ვფიქრობ, ვეჭვობ, ვვარაუდობ, ვგრძნობ, ცხადია, ნათელია, ვიცი, მითხრეს და სხვ.

მოდალობის მეორე ტიპის კონსტრუქციის გადმოსაცემად ხშირია შემდეგი ნაწილაკების გამოყენება: **უნდა, ნეტავ, ლამის, თითქმის, ალბათ, კინაღამ, იქნებ, ეგებ / ეგების** და სხვ. ამ ნაწილაკთა დიდი ნაწილი (უნდა და ნეტავ ფორმათა გარდა) მიახლოებითობის სემანტიკას გვიჩვენებს. ძირითადი კომბინაციები შემდეგნაირია:

A. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს აორისტი იძლევა წარსული დროის განუხორციელებელი აქტის სემანტიკას უარყოფითი რეზულტატით (მაგ. *ლამის მოვიდა*);

B. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს ოპტატივი იძლევა აწმყო დროის დაუსრულებელი აქტის სემანტიკას, სადაც რეზულტატი ჯერ არ გვაქვს სახეზე (მაგ. *ლამის მოვიდეს*).

ზემოთ აღნიშნული მიახლოებითი სემანტიკის ფორმები ტ. კუტევას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით არის ე.წ. ავერტივები, ეს ავეტორები თვლიან, რომ „ავერტივი არის ზმნის შეზღუდული სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, ძალიან ახლოს იყო განხორციელებასთან, მაგრამ ვერ შედგა ზმნის აქტი“ (კუტევა და სხვ. 2015). მათივე ანალიზით, ავერტივის მახასიათებლებია:

1. კონტრაფაქტუალობა,
2. სრული წინაპირობა ზმნური აქტის შესრულებისთვის,
3. ზმნური აქტის შესრულების ნულოვანი რეზულტატი,
4. იმინენტობა,
5. წარსული დრო,
6. პერფექტულობა (კუტევა და სხვ. 2015).

ავერტივი საენათმეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც სემანტიკურად დამუშავებული გრამატიკული კატეგორია, რომელსაც მორფოსინტაქსურ დონეზე თავისი გარკვეული მარკირება გააჩნია. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითი (*ლამის მოვიდეს*) უჩვენებს, რომ არც წარსული დრო და არც პერფექტულობა აქ არ არის აუცილებელი. ასევე ეჭვის ქვეშ დგება ავერტივის მესამე მახასიათებელიც –

ზმნური აქტის შესრულების ნულოვანი რეზულტატი. აქ, პრაქტიკულად, დასაშვებია ნებისმიერი რეზულტატი, რადგანაც ჯერ არაა მოქმედება დასრულებული. ამ ტიპის ფორმები უნდა განვიხილოთ როგორც ე.წ. აპროქსიმატივები. ტ. კუტევისას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით, ავერტივების სემანტიკა მოიცავს პროქსიმატივებს. ჩემი დასკვნით კი, ეს არის ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი კატეგორია, რომელთაც, შესაძლოა, საერთო მოდალური დომენი ჰქონდეთ, მაგრამ ამ ტიპის პროქსიმატივები ვერ განიხილება ავერტივებად და ვერც მის ქვეკატეგორიად. თუკი ავერტივის ძირითადი მახასიათებელია პერფექტულობა, წარსული დრო და ზმნური აქტის რეზულტატის ნულოვანი კატეგორია, ამ B ფორმებისთვის (ლამის წავიდეს) ვითარება რადიკალურად განსხვავებულია: აქ ჯერ არ დამდგარა რეზულტატი (და ეს შეიძლება იყოს არა უარყოფითი, არამედ დადებითი შედეგითაც), არც წარსული დრო და არც პერფექტულობა აქ არ მოიაზრება. ავერტივისა და ამ ტიპის პროქსიმატივებს საერთო აქვთ იმანენტობა. აქ შეიძლება იყოს ორი ტიპის მიდგომა: შეიძლება ავერტივების მახასიათებლების შეკვეცა და ამით მისი სემანტიკის გაფართოება ან ასეთი ტიპის პროქსიმატივებს ჩვენ, შესაძლოა, ვუნოდოთ ოპტატივის პროქსიმატივები ან იმინენტური პროქსიმატივები. ასეთი სახელდებები შემდგომი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქართულში აორისტიანი მოდალობის აპროქსიმატული ფორმები მთლიანად ემთხვევა ავერტივის არსებულ სემანტიკას (თავისი მახასიათებლებით), ხოლო ოპტატივის კონსტრუქცია უფრო იმპერფექტულია (მიუხედავად სრული ასპექტისა) და დაუსრულებელი მოქმედების შინაარსს გადმოგვცემს. როგორც წესი, ამ ტიპის კონსტრუქცია გადმოგვცემს შემდეგ შინაარსს: ზმნური მოქმედება მოულოდნელია, ან არასასურველი ან რალაც თვალსაზრისით და (სავარაუდოდ) ამ აქტის შესრულება-შეუსრულებლობა მნიშვნელოვანია მოსაუბრისათვის.

რაც შეეხება პერფექტულობის საკითხს, მოდალობასთან მიმართებაში – აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით,

იმპერფექტულობა ქართული მოდალობისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რამდენადაც ქართული ზმნის ფორმებს ასპექტის თვალსაზრისით პარალელური წარმოება აქვთ მწკრივებში (აორისტიკისა და პერფექტული მწკრივების ჩათვლით). ქართულ ენაში, ამ კუთხით, ყველაფერი ზმნისწინზეა დამოკიდებული. ზმნისწინის დროითი ფუნქცია ძალიან პროდუქტიულია თანამედროვე ქართულში. ზოგადად, მოდალურ კონსტრუქციებში საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვაობა სრული და უსრული ასპექტის ფორმებს შორის. მაგალითად, *ნეტავ ხატავდეს* – მოიაზრებს სურვილს, რომ ის იყოს ხატვის პროცესში, ხოლო *ნეტავ დახატავდეს* გულისხმობს რეზულტატის სურვლს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ დადგეს შედეგი, უსრული ფორმა კი პროცესის სურვილია და არა შედეგის. დედუქციური მიდგომით, ეს დასკვნა, სავარაუდოდ, ტიპოლოგიურად უნივერსალური უნდა იყოს.

იმპერფექტული მოდალობის ხვედრითი წონის განსაზღვრისათვის საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მოდალობის კონსტრუქციაში სტატისტიკით ყველაზე უფრო ხშირი ფორმები *მინდა* / *უნდა* და *ვიცი* / *იცის* უასპექტო ფორმებია და თავისი სიღრმისეული სემანტიკით ესენი სწორედაც იმპერფექტული ზმნებია.

აღსანიშნია, რომ ზოგ სამეტყველო ენაში კილო და მწკრივი (პირობითად) სხვაობს იმის მიხედვით, სათქმელი პოზიტიური კონტენტი, თუ ნეგატიური. ქართულ ენას ზმნურ ფორმათა შორის ამდაგვარი ოპოზიცია არ გააჩნია. საერთაშორისო ენათმეცნიერულ სივრცეში გაზიარებულია ის მოსაზრება, რომ ბევრ ენაში მოდალობა ზმნური კატეგორიებით არის გამოხატული, კერძოდ, აქ საუბარია კილოზე. თუკი მოდალობას განვიხილავთ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული სახის მარკირება. ამ მიდგომით, შესაძლოა, კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად იქნეს მიჩნეული ქართულში. ცნობილია, რომ მწკრივის მარკერები რეალურად დრო-კილოს მარკერებია და ფაქტობრივად, დღემდე არ გვაქვს ზუსტი

ცალსახა მორფოლოგიური დეფინიცია – რა მარკერებია ესენი დროის, კილოსი თუ მწკრივის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს ეპისტემური და დეონტური მოდალობის კონსტრუქციებს სამეტყველო ქართულში.

პირველი ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	ზმნის ფორმა	სემანტიკა
ეპისტემური ვიცი აკეთებს / აკეთებდა	ანმყო	ანმყო იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ, მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცი გააკეთებდა	ანმყო	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
ეპისტემური ვიცოდი აკეთებდა	წარსული	იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცოდი გააკეთებდა	წარსული	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
დეონტური მინდა (გა)ვაკეთო	ანმყო	ოპტატივი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა –პრევერბით)
დეონტური მინდა ვაკეთებდე	ანმყო	ანმყოს კავშირებითი	სურვილი პროცესის ქონისა
დეონტური მინდოდა (გა)მეკეთებინა	წარსული	მეორე თურმეობითი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა –პრევერბით)

ცხრილი1.

მეორე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ნაწილაკი	ზმნის ფორმა	სემანტიკა
დეონტური უნდა (გა)ვაკეთო	უნდა	ოპტატივი	საჭიროება/ვალდებულება სამომავლო (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიწაზრებენ)
დეონტური უნდა ვაკეთებდე	უნდა	ანწყოს კავშირებითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესის ქონისა
დეონტური უნდა (გა)მეკეთებინა	უნდა	მეორე თურმეობითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესისა (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიწაზრებენ)

ცხრილი 2.

მესამე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნა პლუს ნაწილაკი	ზმნის ფორმა	სემანტიკა
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა (გა)ვაკეთო	ვიცი (ან-მყო) უნდა	ოპტატივი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება-ვალდებულებაში (ზმნისწინიანი

			ფორმები რე-ზულტატის მოიაზრებენ)
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა ვაკეთებდე	ვიცი (ან-მყო) უნდა	ანმყოს კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება –ვალდებულებაში
ეპისტემურ-დეონტური ვიცოდი (რომ) უნდა (გა)მეკეთებინა	ვიცოდი (წარსული) უნდა	მეორე თურმეობითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება –ვალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები რე-ზულტატის საჭიროება – ვალდებულებას მოიაზრებენ)

ცხრილი 3.

როგორც ვხედავთ, მესამე ცხრილში მოყვანილი ფორმები შერეული მოდალობის ფორმებია. აქ წარმოდგენილია როგორც ეპისტემური, ასევე დეონტური მოდალობა.

მოდალობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი ქართულ ენაში. დასამუშავებელია კავშირებითი კილოს შემდეგი სემანტიკური ველების მორფოსინტაქსი:

- პოტენციურობა,
- განუსაზღვრელობა,
- წინასწარმეტყველება,
- ვალდებულება,
- სურვილი / ნატვრა და ა.შ.

სტატისტიკური მონაცემები ქართული ეროვნული კორპუსის მიხედვით ასეთია: მინდა – 60469; გინდა – 17740; უნ-

და – 740258; ვიცი – 64437; იცი – 12089; იცის – 49007.
(<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

ჩვენ ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ მოდალობასთან დაკავშირებული სიტუაცია სამეცნიერო ქართულში. ახლა შევხებით მოდალობას ქართულ ჟესტურ ენაში.

აღსანიშნავია, რომ მოდალობის კვლევებს ჟესტურ ენებში არცთუ დიდი ისტორია აქვს. საკითხს სულ რამდენიმე მეცნიერი შეეხო (Brito 1990; Wilcox & Wilcox 1995; Shaffer 2004). ძირითადი მიგნებები ამ სფეროში ასეთია:

- სახეზეა კროსლინგვისტური ტენდენციები,
- მოდალური ელემენტები შესაძლოა იყოს ადგილმონაცვლე წინადადებაში (ამერიკული ჟესტური ენა <http://seattlecentral.edu/faculty/bbernstein/ASL102/102Resource/s/102%20handouts/102%20Modals.htm>)

- მოდალურობის გაფორმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტაფორული აზროვნება,

- დეონტური მოდალობისას მოძრაობები შედარებით მარტივი და ენერგიულია, ხოლო ეპისტემური მოდალობის კინეტიკა განმეორებითი და ნაკლებ ენერგიულია ბრაზილიურ ჟესტურ ენაში (Brito 1990). ანალოგიური ვითარება იკვეთება ამერიკულ ჟესტურშიც (Wilcox & Wilcox 1995)

- ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ დეონტური მოდალობა უფრო საბაზისოა ეპისტემურთან შედარებით (Shaffer 2004, 177). მოდალობა ხშირად განისაზღვრება როგორც საჭიროებისა და შესაძლებლობების კონცეპტუალური დომენი. ეს გამოიხატება გარკვეული ლექსემებითა და დამხმარე ზმნებით ან კილოს გრამატიკული კატეგორიით ზმნის ფორმაში (Shaffer 2004, 177).

- გრამატიკალიზაციის პროცესი ჟესტურ ენებში ოპერირებს სამეცნიერო ენების მსგავსად (Wilcox 2016).

- ამრიგად, იკონურობა და მეტაფორა მოდალობის კონფიგურაციებში განმსაზღვრელ როლს თამაშობს.

- ხაზგასასმელია არამანუალური ანუ მიმიკური ელემენტების მნიშვნელოვანი როლი მოდალობის კუთხით. ზოგა-


დად, შესტურ ენებში იმპერფექტული მოდალობა გადმოცემულია განმეორებითი შესტებით (Wilcox 2004).

➤ დიდი მნიშვნელობა აქვს შესტის შესრულების მანერას, როგორც ინტონაციას სამეტყველო ენებში (Pfau & Steinbach 2006, 72). სწრაფი, ფართო და ინტენსიური შესტები უფრო ძლიერ ვალდებულებებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს გამოხატავს, ვიდრე ნელი და პატარა შესტები.

ქართულ შესტურ ენაში მოიპოვება ზემოთ აღნიშნული სამივე ტიპის მოდალური კონსტრუქცია.

პირველი ტიპის კონსტრუქციები:

ეპისტემური ვიცი აკეთებს:



ეპისტემური ვიცი გააკეთებს:





ამ მაგალითში პირველი ფოტო ასახავს მოდალურ ფორმას **ვიცი**, მეორეზე წარმოდგენილია **კეთება** ზმნა, მესამე ფოტო უჩვენებს მომავალ დროს, ხოლო ბოლო, მეოთხე ფოტოზე გამოსახულია აუცილებლობის სემანტიკის შესტ-მორფემა. ეს ბოლო მორფემა კილოს კატეგორიაშიც შეგვიძლია განვიხილოთ.


უარყოფითი ეპისტემური ფორმა – **არ ვიცოდი თუ გააკეთებდა:**




საგულისხმოა, რომ როგორც პირველ ორ ფოტოზე ჩანს, **არ ვიცოდი** არის ფაქტობრივი ჯამი ორი ფორმისა **არ**

ვიცოდი როგორც ერთი ჟესტი და ამას პლუს „არა“ ნეგატიური ნაწილაკი. ასეთი კომბინაცია მხოლოდ წარსული დროის უარყოფით ფორმებში გვხვდება. ეს არის ორმაგი ლექსიკური უარყოფა, რადგანაც პირველ ფოტოზე მოცემული პირველი ერთეული უკვე არის უარყოფითი ფორმა „არცოდნა“ და „არა“ ნაწილაკი მხოლოდ წარსულ დროში ემატება. მეოთხე ფოტო ასახავს **თუ** კავშირს, ხოლო ბოლო ფოტოზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნაცვალსახელო ფორმა.

დეონტური – მინდა გავაკეთო:




უარყოფითი დეონტური ფორმა – არ მინდა გავაკეთო:



აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც **ვიცი** და **არ ვიცი**, **მინდა** და **არ მინდა** სხვადასხვა ლექსემებია ანუ სხვადასხვა ფესტებია. აქ უარყოფითი ნაწილაკი **არა** არ არის წარმოდგენილი.


მერე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:


დეონტური – უნდა გავაკეთო:



აქ პირველ ფოტოზე ასახულია მოდალური ნაწილაკი **უნდა**. ბოლო ჟესტი კი არის მომავალი დროის აღმნიშვნელი დროის მორფოლოგიური ჟესტი, რომელსაც კონკრეტული ლექსიკური შესატყვისობა არ გააჩნია არც ამ წინადადებაში და არც ამ ტიპის სხვა ფორმებთან.

უარყოფითი დეონტური ფორმა – არ უნდა გავაკეთო:






როგორც წარმოდგენილ მაგალითში ვხედავთ, **უნდა** და **არ უნდა** ასევე განსხვავებული შესტებია უარყოფითი ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი.

ამ ტიპის მოვლენას ნაწილობრივი სუბლექციის ფაქტად განიხილავენ ევროპელი კოლეგები.

დეონტური – უნდა გამეკეთებინა:



აქ წარმოდგენილია **უნდა** ფორმა, რომელიც წინ უძღვის **კეთება** ზმნას. შემდეგ მოდის დელექსიკალიზებული მომავლის დროის ფორმა და კილოს შესტი – **აუცილებლად**. წარსული დროის ფაქტორი აქ მიმიკით არის გადმოცემული.


უარყოფითი დეონტური – არ უნდა გამეკეთებინა (შეცდომა):



ამ მოდალურ კონსტრუქციას – **არ უნდა გამეკეთებინა** ბოლოში ერთვის შესტი *შემეშალა / შეცდომა დავუშვი*, რომელიც წარმოდგენილია ბოლო ორ ფოტოზე. (ეს უკანასკნელი სინანულის შესტია.)


მესამე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:


ეპისტემურ-დეონტური – ვიცი, რომ უნდა გავაკეთო:



ამ მოდალურ კონსტრუქციაში **ვიცი** (ცოდნა) ზმნა წარმოდგენილია ერთხელიანი ჟესტით, გაშლილია საფეთქელთან მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ და ქვევით მოძრაობს.

უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური – არ ვიცი, რომ უნდა გავაკეთო:





სიტყვასიტყვით: **არ+ვიცი, რომ უნდა გავაკეთო მომავალში.** აქ გვაქვს ნაწილობრივი სუბლექცია და ზმნა არ ვიცი / **არცოდნა** წარმოდგენილია განსხვავებული ფორმით: გაშლილია საფეთქელთან მიდებუი საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ და ქვევით მოძრაობს.


უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური – **არ ვიცოდი რომ უნდა გამეკეთებინა:**





ბოლო ორი ფოტო ასახავს კავშირებითი კილოს ნიშნებს, რაც ფაქტობრივად, არის მოდალობის მარკერები ენაში (იხ. თავი „დრო, ასპექტი და კილო ქართულ შესტურ ენაში“).


აღსანიშნავია, რომ ქართულ შესტურ ენაში, გარდა გრამატიკული საშუალებებისა, მოდალობა, შესაძლოა, ლექსიკური საშუალებებითაც იყოს გადმოცემული. მოდალობის ლექსიკური შესტები:



აღბათ



რა თქმა უნდა



'აუცილებლად'



ცხადია



საეჭვოა

ქართულ შესტურ ენაში ხშირად ადგილი აქვს შერეული ტიპის გამოხატვასაც, ანუ ლექსიკური და გრამატიკული ფორმებით ერთდროულად.



შესაძლოა, ჩემს ძმას შეუძლია ამის გაკეთება.


დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჟესტურ ენას წარმატებით შეუძლია ყველა ტიპის მოდალური კონსტრუქციის გადმოცემა.

7.1. უარყოფითი მოდალობის საკითხები ქართულ ჟესტურ ენაში


ზმნური ნეგაციის ძირითადი მანარმოებლები ქართულ ჟესტურ ენაში არის ორი უარყოფითი ნაწილაკი **არა** და ნაკლებად კატეგორიული **ვერა**.



უარყოფითი ნაწილაკი
არა/არ



უარყოფითი ნაწილაკი
ვერა/ვერ



ვერა+არა = არ შემიძლია

მოდალურ ზმნათა უმეტესობას ქართულ ფესტურ ენაში უარყოფითი ფორმებისთვის აქვს განსხვავებული ფესტები,

ანუ ასეთ ფორმებში ადგილი აქვს ე.წ. ნაწილობრივ სუბლექციას:



უნდა მივიღე




არ უნდა მივიღე


ზემოთ წამოდგენილ ფორმაში **უნდა**-ს უარყოფითი შეს-
ტი შეცვლილია და მოცემულია **არ უნდა** სუბლექტური ფორმა.
ეს ფორმა უკვე შეიცავს ნეგაციას და ანმყოში მას აღარ
სჭირდება უარყოფითი ნაწილაკის – **არა**-ს დამატება, მაგრამ
წარსულ დროში ამ ფორმას (ასევე როგორც სხვა მოდალური
ზმნების უარყოფით ფორმებს) აუცილებლად ემატება უარყო-
ფითი ნაწილაკი **არა** და ეს არის ერთადერთი კანონიკური
ფორმა წარსული დროისათვის ამ ენაში. ეს კი ერთობ საინ-
ტერესო ენობრივი მოვლენაა, რომელსაც სხვა ენებში ანალო-
გი არ მოეპოვება. მოდელი ასეთია: **არ უნდა + არა = არ უნდო-**
და. აღნიშნული ფორმა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ იგი
ხაზს უსვამს დროის კატეგორიის მნიშვნელობას ქართულ

ჟესტურ ენაში მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ სხვა ჟესტური ენები არ იჩენენ გრამატიკულ ინტერესს ამ კატეგორიის (დროის) მიმართ.

ამრიგად, მოდალურ ფორმებთან ქართულ ჟესტურ ენას ახასიათებს სპეციფიკური ნეგატიური კონკორდი წარსულ დროში. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენაა, რადგანაც ჟესტური ენები მაინცდამაინც არ განასხვავებენ დროის კატეგორიას გრამატიკულად. აქ კი გვაქვს ნეგაციის დროითი ვარიაციები. ეს განსაკუთრებით მოდალურ ფორმებთან არის კარგად გამოხატული. ერთმანეთს შევადაროთ შემდეგი ფორმები:




მინდა



არ მინდა

აქ გვაქვს ნაწილობრივი სუბლექცია – **არ მინდა მინდა**-საგან ნაწილობრივ განსახვავებული ფესტია.



გუშინ არ+მინდა არა

ამ ფორმაში – **გუშინ არ მინდოდა** – **გუშინ** დროის ზმნი-ზედა დროის გამოხატვის თვალსაზრისით არაობლიგატორულია, რადგანაც ასეთი კომბინაცია – **არ მინდა** ზმნის უარყოფითი ფორმა პლუს **არა** – უარყოფითი ნაწილაკი, მხოლოდ ნარსული დროის დამახასიათებელია.

ცხადია, ქართულ ფესტურ ენას ისევე, როგორც ქართულ სამეტყველო ენას, ახასიათებს ნეგატიური კონკორდი.



არავინ არ ცურავს.




არასოდეს არ მითხრა არაფერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური ზმნა **ვიცი** ქართულ ფესტურ ენაში მოდალური ზმნების მოდელს იმეორებს ყველა თვალსაზრისით (ნაწილობრივი სუბლექციითა და წარსული დროის სპეციფიკური ნეგატიური კონკორდით). მხოლოდ ერთადერთი სხვაობა აღინიშნება: მოდალურ ზმნებს ნაწილობრივი სუბლექციის დროს უარყოფით ფორმებში აქვთ სხვაობა დინამიკაში, ხოლო ეს ზმნა (**ვიცი**) ნეგაციისას განასხვავებს ხელის კონფიგურაციას და არა დინამიკას:



ვიცი



არ ვიცი

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ ჟესტურ ენაში უარყოფითი მოდალობა გადმოცემულია უნიკალური მოდელით – მოდალურ ზმნათა ნაწილობრივი სუპლექციითა და სპეციფიკური ნეგატიური კონკორდით წარსულ დროში.

თსპი 8. ON MODALITY IN GEORGIAN SIGN LANGUAGE (GESL)

1. Introduction

Modality is one of the most fascinating and complex fields in language studies. In linguistics, the term *modality*²¹ has been used for different types of relations to reality. In general, there are three traditionally accepted meanings for this term depending on whether one is referring to the logical, discursive, or grammatical facts. The traditional definition of modality refers to the speaker's attitude or opinion (among others Palmer 1986). Thus, this is a category of discourse showing the relationship between the speaker and the discourse (Herrero-Blanco & Salazar-García 2010), and meanwhile, as a grammatical category, modality has different morphosyntactic forms in different languages. Modality is also concerned with the logical structure of the text or sentence, and it can also be regarded as a kind of logical category. Even if we consider only the grammatical content of this term, modality is an extremely complex category that resists a general common definition that captures all of the factors involved (Herrero-Blanco & Salazar-García 2010). Grammatical modality can be classified into DEONTIC and EPISTEMIC modality types (Palmer 1979; Hoye

²¹ Recently the term *modality* has acquired a new meaning related to the channel employed to form messages. In case of sign languages, this term is often used as a mean of exposition for linguistic categories, such as "modality-specific" pathway of grammaticalization (Pfau & Steinbach 2006). Thus, we deal with polysemy in the English term *modality*.

